Г 171
1957

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

6

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 570

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 10 მაისი

ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

F 2037

შემოწმებით დადასტურდა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის საშუალო სკოლებთან არსებულმა ლოგოპედიურმა პუნქტებმა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა.

კარგად მუშაობენ ქ. თბილისის № 1, მე-10, მე-17, 67-ე, 87-ე, ქალაქების: ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის და ფოთის ლოგოპედიური პუნქტები (ლოგოპედები: თ. ფერაძე, ქ. ტორონჯაძე, კ. ავალიშვილი, ა. მგალობლიშვილი, ა. იშხნელი, ე. გველესიანი, ე. ტუღუში, შ. ხოჭავა და გ. ქირია).

კარგ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ ლოგოპედიურ პუნქტებს ზემოაღნიშნული სკოლებისა და ქ. თბილისის 1 და მე-2 დამხმარე სკოლების დირექტორები. აღსანიშნავია, რომ აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ გარკვეული ღონისძიება ჩაატარეს ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. თბილისის ლოგოპედების მეთოდური გაერთიანება (ხელმძღვანელი კ. ავალიშვილი).

მიუხედავად ამისა ლოგოპედიური პუნქტების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. რიგ პუნქტებს ჯერ კიდევ არ გაეჩინათ სამუშაო ოთახები, საჭირო ხელსაწყოები და სასწავლო ნივთები, თბილისის 61-ე საშუალო სკოლის ლოგოპედიურ პუნქტს მეცადინეობის ჩასატარებლად დათმობილი აქვს პატარა კუთხე ბიბლიოთეკის სამუშაო ოთახში, ასეთივე მდგომარეობაშია 29-ე და 53-ე სკოლების ლოგოპედიური პუნქტები.

ქ. ქუთაისის ლოგოპედიურ პუნქტს მეცადინეობა უხდება ცალკე საგნის კაბინეტში, სადაც ხშირად ხდება მეცადინეობათა დამთხვევა, ხოლო სტალინირის ლოგოპედს სამუშაო კუთხეც არ გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი პუნქტები მუშაობას ატარებენ მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც პუნქტებია მოთავსებული და არ არის გახსნილი ფილიალები. რიგ პუნქტებს მოუწესრიგებელი აქვთ დოკუმენტაცია, მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმე. არადამაკმაყოფილებელია მეტყველების დეფექტების მქონე ბავშვებთან მუშაობის მეთოდები ქ. თბილისის 29-ე, 37-ე, 61-ე და სტალინირის მე-4 საშუალო სკოლებში (ლოგოპედები გ. ხვედელიძე, შ. ლორთქიფანიძე, ვ. ფრანგულაშვილი, კ. გასიევა). ხშირად ისინი ვერ საზღვრავენ მოსწავლეთა მეტყველების ნაკლოვანებებს. ენაჩლუნგ მოსწავლეებთან მუშაობისას არ იყენებენ თვალსაჩინო მასალას, სრულიად უგულებელყოფენ ფონემატური სმენის განვითარების მხარეს, წერითი მუშაობის დროს იყენებენ მხოლოდ წიგნიდან გადმოწერის მეთოდს, ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ მოსწავლეების მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები. აღნიშნულმა ლოგოპედებმა მეტად სუსტად იციან რუსული ენა, რის გამო ქ. თბილისის სტალინის, მოლოტოვისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების რუსული სკოლების მოსწავლეები დარჩენილი არიან ლოგოპედიური დახმარების გარეშე. დაბალია 53-ე და 89-ე საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის ხარისხი (ლოგოპედები ა. ინაშვილი და გ. აკირტავა).

ზოგიერთი სკოლის დირექტორები საჭირო დახმარებას არ უწევენ ლოგოპედიური პუნქტების მუშაობას, არ იცნობენ მათ სამუშაო გეგმებს, არ ესწრებიან მოსწავლეთა მეცადინეობას, არ ახდენენ მეტყველებაგამოსწორებულ მოსწავლეთა შემოწმებას, ლოგოპედებს არ ასწრებენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და არ ჰყავთ ისინი ჩაბმული სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგან კი ლოგოპედები სკოლის მასწავლებელთა საღრიცხვო ჟურნალშიაც არ არიან შეტანილი. ქ. სოხუმისა და ქ. სტალინირის განათლების განყოფილებები ლოგოპოდიური პუნქტების მუშაობას სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თბილისის 29-ე, 37-ე, 61-ე და სტალინირის მე-4 საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის ლოგოპედებს: გ. ა. ხვედელიძეს, შ. ლორ-

თქიფანიძეს, ვ. მ. ფრანგულაშვილსა და კ. ხ. გასიევას გამოეცხადოთ საყვედური. გაფრთხილებულ იქნენ: თუ უმოკლეს დროში ვერ გამოასწორებენ ლოგოპედიური პუნქტების მუშაობას, განთავისუფლდებიან სამუშაოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს ლოგოპედიური პუნქტების გამგეებს:

ა) გარდაქმნან მუშაობა საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების დებულების შესაბამისად;

ბ) გახსნან ფილიალები ძირეული პუნქტიდან დაშორებულ სკოლებში და ჩაატარონ სათანადო მუშაობა;

გ) ენამოშლილი ბავშვების მეტყველების გაუმჯობესების მიზნით იქონიონ მჭიდრო კავშირი კლასის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებთან;

დ) სისტემატურად დაესწრონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებს და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში;

ე) მოამზადონ საკითხები და მონაწილეობა მიიღონ პედაგოგიურ კითხვაში;

ვ) იქონიონ მჭიდრო კავშირი ენის დეფექტების მქონე ბავშვების მშობლებთან;

ზ) ყურადღება მიაქციონ განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მოსწავლეთა სწორ მეტყველებას.

3. საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ლოგოპედების მუშაობაზე;

ბ) შეუქმნან ლოგოპედიურ პუნქტებს მუშაობისათვის საჭირო მატერიალური ბაზა;

გ) დაეხმარონ ლოგოპედებს სამუშაო გეგმების შედგენასა და შესრულებაში;

დ) დაესწრონ მეცადინეობებს და მონაწილეობა მიიღონ მეტყველებაგამოსწორებულ მოსწავლეთა გამოშვებაში;

ე) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ ლოგოპედების მუშაობის შემოწმების შედეგები და ჩაბან ისინი სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

4. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ლოგოპედიური პუნქტების მუშაობას;

ბ) სასწავლო წლის მანძილზე შეამოწმონ ლოგოპედიური პუნქტებისა და მათი ფილიალების მუშაობა და არსებულ ნაკლოვანებათა

გამოსასწორებლად დასახონ საჭირო ღონისძიებანი, დაეხმარონ ლოგოპედებს ფილიალების გახსნაში, მოსთხოვონ მუშაობის ანგარიში და წლიური მუშაობის შეჯამებისას გაითვალისწინონ ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის შედეგები.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი) არსებული პუნქტების ლოგოპედები გადაამზადოს ერთთვიან კურსებზე, ადგილებზე შეამოწმოს მათი მუშაობა და გაუწიოს საჭირო მეთოდური დახმარება.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს 1958 წლის ბიუჯეტში თითო ლოგოპედიური პუნქტის გახსნა: ქ. თბილისის ლენინის, კიროვის, 26 კომისრის რაიონებში, ქ. გორში, ქ. ბორჯომში, თელავსა და დუშეთში.

7. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩიხჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 575

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 11 მაისი

საბავშვო სახლებში 1957 წლის I კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ მიმდინარე წლის I კვარტალში შემოწმებულია ეწრის, ჩოხატაურის, მახარაძის, ვაშლოვანის, კოჯრის № 3, № 4 საბავშვო სახლების სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა და ჩატარებულია ამავე საბავშვო სახლებში დოკუმენტური რევიზია, რუსთავის, ვაკისა და კოჯრის № 2 საბავშვო სახლებში ჩატარებულია მოულოდნელი რევიზია.

საბავშვო სახლების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, შემოწმებულ ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მაინც არ დგას სათანადო სიმაღლეზე: აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება დაბალია. ასე, მაგალითად: კოჯრის № 3 საბავშვო სახლში 81 აღსაზრდელიდან 22 ვერ ასწრებს, ვაშლოვანის საბავშვო სახლში 92 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 9, ამ საბავშვო სახლებში აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან არ ტარდება სათანადო მუშაობა, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, აკლიათ თვალსაჩინო ხელსაწყოიარაღები, შრომის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელით უზრუნველყოფის საქმეს.

კოჯრის № 3, № 4 და ვაშლოვანის საბავშვო სახლებში გოგონებისათვის არ არის მოწყობილი პირადი ჰიგიენის ოთახები.

ბომმარაგებელი ორგანიზაციები „კურორტვაჭრობა", „ცეკავში-

რი“ და „საქვაჭრობა“ არ აწვდიან საბავშვო სახლებს ნორმით დადგენილ და ასორტიმენტის მიხედვით კვების პროდუქტებს.

ჩოხატაურის, კოჯრის № 3 და № 4 საბავშვო სახლებში ადგილი აქვს თანხების როგორც გადახარჯვას, ისე აუთვისებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოჯრის № 3 საბავშვო სახლის რემონტი არ არის დამთავრებული და შესრულებული სამუშაოების ერთი ნაწილი უხარისხოა.

ვაშლოვანისა და კოჯრის № 3 საბავშვო სახლებში საშეფო ორგანიზაციების მუშაობა ჩაშლილია. ამ საბავშვო სახლებში უმოქმედობას იჩენენ მზრუნველთა საბჭოებიც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლების დირექტორებმა:

ა) გაუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რეგულარულად მოიწვიონ პედსაბჭოს სხდომები და მეთოდთათბირები, თათბირებზე მოისმინონ ცალკეული საალმზრდელო ჯგუფის ხელმძღვანელთა და სხვა მუშაკთა ანგარიში, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის;

ბ) განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება აღსაზრდელთა მიერ საშინაო დავალებათა შესრულებაზე და კლასგარეშე მუშაობაზე;

გ) სკოლასთან მჭიდრო კავშირის დამყარებით მიაღწიონ საბავშვო სახლის აღსაზრდელთა 100% მოსწრებას;

დ) ყოველდღიურად იზრუნონ აღსაზრდელებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისა და განმტკიცებისათვის;

ე) ერთი თვის მანძილზე სრულ წესრიგში მოიყვანონ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები;

ვ) გადაჭრით გაუმჯობესონ ზოგადტექნიკური, პოლიტექნიკური და საყოფაცხოვრებო შრომის სწავლების საქმე;

ზ) შესაფერისად მოაწყონ სამეცადინო ოთახები, გარდა ამისა ოთახები უზრუნველყონ თვალსაჩინოებითა და დიდაქტიკური მასალებით;

თ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა და ერთი თვის ვადაში გოგონებისათვის მოაწყონ პირადი ჰიგიენის ოთახები;

ი) იქ, სადაც არ არსებობს მზრუნველთა საბჭოები, რაიონის აღმასკომებთან შეთანხმებით ჩამოაყალიბონ საბავშვო სახლის მზრუნველთა საბჭოები;

კ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ საშეფო ორგანიზაციებთან;

ლ) ზუსტად დაიცვან საფინანსო დისციპლინა, არ დაუშვან თანხების გადახარჯვა ან აუთვისებლობა, უზრუნველყონ 1957 წელს

ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დროულად და დანიშნულებისამებრ გამოყენება.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ ... კოჯრის № 3 საბავშვო სახლში შესრულებულ სარეკონსტ... მუშაოთა მოცულობა და ხარისხი. შემოწმების შედეგები მომხსენდეს მ/წლის 5 მაისამდე.

3. საბავშვო სახლების დირექტორებმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღნიშნული ნაკლოვანებების ლიკვიდაცია.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების უფროსმა ამხ. ვ. ჩინჩალაძემ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 596

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 14 მაისი

1957—1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მომზადების საქმეში თელაველთა ინიციატივის შესახებ

თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და განათლების მუშაკთა ამასწინათ ჩატარებულმა თათბირმა მოწოდებით მიმართა ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის შესაბამის ორგანიზაციებს, განათლების მუშაკებსა და ყველა მშრომელს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1957—1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობით შესახვედრად.

თელავის რაიონის მშრომელთა ეს თაოსნობა მოიწონეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა. თელაველთა ამ შესანიშნავ ინიციატივას იწონებს და მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. ამასთან დაკავშირებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების გაფართოებულ სხდომებზე განიხილონ თელავის რაიონის მშრომელთა მოწოდება და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი 1957—1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის

მე-40 წლისთავისათვის სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობით შესახვედრად;

2. უზრუნველყონ სკოლების პედაგოგიური საბჭოების ფარგლებში ზე ამ საკითხის გულდასმით განხილვა და თელაველთა მოწოდებისადმი ყოველი სკოლის საქმიანი გამოხმაურება;

3. ფართოდ გააცნონ მოსახლეობას თელაველთა თაოსნობა, სათავეში ჩაუდგნენ სათანადო ორგანიზაციების მიერ ამ ღონისძიებისადმი გამოხმაურებას, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ვალდებულებათა აღებასა და ამ ვალდებულებათა შესრულებას;

4. თელაველთა მოწოდებასთან დაკავშირებით ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესახებ მოხსენებითი ბარათით აცნობონ განათლების სამინისტროს ა/წ. 15 ივნისისათვის.

II. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ა. ღადუა) მეთვალყურეობა და ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიოს მიშენებისა, დაშენებისა და სასკოლო შენობების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

III. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) ხელი შეუწყოს თელავის რაიონის მშრომელთა მოწოდების საფუძველზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციებს სკოლებისათვის კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების მოწყობილობათა და სასკოლო ინვენტარის შეძენის საქმეში.

IV. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ თელაველთა მოწოდებაზე რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების მშრომელთა გამოხმაურება და ამ მოწოდების საპასუხოდ დაგეგმილი მუშაობის მიმდინარეობა.

V. სკოლების სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. საყვარელიძემ მივლინებაში მიმავალ სასკოლო ინსპექტორებს დაავალოს განახორციელონ სათანადო კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკის დაწყებით, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის, მათი მდგომარეობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ

1957 წლის 17 მაისი

საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სკოლის მუშაკების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით წარმატებით ჩატარდა საქართველოს სს რესპუბლიკის დაწყებით, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის, მათი მდგომარეობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერება.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის სკოლების დიდმა უმრავლესობამ.

საზოგადოებრივი დათვალიერება ორგანიზებულად ჩატარდა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების, ქალაქების: თბილისის, ფოთისა და ქუთაისის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის; ლანჩხუთის, კაჭრეთის, მახარაძის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ქუთაისის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ორჯონიკიძისა და ხაშურის რაიონების სკოლებში.

დათვალიერება დამაკმაყოფილებლად ჩატარდა აგრეთვე ამბროლაურის, ბორჯომის, ყვარლის, წულუკიძის, ჭიათურის, ჩოხატაურის რაიონებში. დათვალიერების დროს განსაკუთრებით შესამჩნევი წარმატებები მოიპოვა აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების, ქალ. ქალ. თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და სამტრედიის,

ზუგდიდის, თელავის, მახარაძის, ქუთაისის, წალენჯიხის, გორის და ჩხოროწყუს რაიონების ბევრმა სკოლამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების პერიოდში შესწავლილ და აღნუსხულ ეროვნული ბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელ ნაკვეთების, ბიბლიოთეკების მდგომარეობა, წიგნებისა და სასწავლო მოწყობილობათა რაოდენობა, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების მდგომარეობა.

ჩატარებულმა საზოგადოებრივმა დათვალიერებამ დიდად შეუწყო ხელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მრავალი ახალი სასწავლო კაბინეტის, ლაბორატორიის, სახელოსნოს შექმნას, მათ შევსებას ხელსაწყო-იარაღებით, პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნას. საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგად გაძლიერდა მოსწავლეებში შრომითი ჩვევების აღზრდა, გაიზარდა სკოლის მუშაკთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა სასკოლო ქონების მოვლისა და დაცვის საქმეში, ამაღლდა თითოეული სასწავლო დისციპლინის სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა.

ბევრ სკოლაში შეიქმნა სრულიად ახალი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, გაუმჯობესდა შეფორგანიზაციების დახმარება სკოლებზე პოლიტექნიკური სწავლებისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში. ქ. ფოთის სკოლებში ადგილობრივმა დამთვალიერებელმა კომისიებმა დათვალიერების პერიოდში შეამოწმეს, შეისწავლეს და აღრიცხეს მთელი სასკოლო ქონება, დასახეს და გაატარეს ღონისძიებანი არსებული სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების კეთილმოწყობისათვის, და იმ სკოლებში, სადაც ასეთი არ გააჩნდათ, ახალი კაბინეტებისა და სახელოსნოების გახსნისათვის, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობისა და იქ მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ამ საქმეში კარგი მაჩვენებელი მოიპოვეს ფოთის 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 საშუალო და ყულევის, საგვიჩაოს შვიდწლიანმა სკოლებმა. ქ. ფოთის სკოლებში განსაკუთრებით დიდი მიღწევები მოიპოვა მე-3 საშუალო სკოლამ. დათვალიერების ჩატარებამდე ამ სკოლას არ გააჩნდა დამაკმაყოფილებელი და საკმაოდ შეჭურვილი სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, საცდელი მიწის ნაკვეთი, მაგრამ საზოგადოებრივი დათვალიერების გამოცხადების დღიდანვე ჩამოყალიბებულმა ადგილობრივმა დამთვალიერებელმა კომისიამ

გაცხოველებული მუშაობა გაშალა და დიდი წარმატებები მოიპოვა. მშობელთა ფართო საზოგადოებრიობის, საშეფო ორგანიზაციების, პედაგოგთა და მოსწავლეთა კოლექტივების დარაზმვით სკოლამ შეძლო ყველა სასწავლო კაბინეტის ინვენტარის გაახლება და მათი დანიშნულების შესაბამისად მოწყობა, კაბინეტების შევსება ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღით, ელექტროფიცირება, დაბნელების, ამწოვი კარადის, სადემონსტრაციო მაგიდების მოწყობა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის დახმარებით ეზოს გაფართოება და იქ სახელოსნოებისათვის 5 დიდი ოთახის აგება სადურგლო, საზეინკლო სახელოსნოების, მანქანათმცოდნეობის კაბინეტისა და ხელგარჯილობის შენობის დაპროექტება, ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მოედნის მომზადება. მშენებლობის წარმოება ხდება მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობით.

მოსწავლეთა ძალებით და მშობელთა კომიტეტის დახმარებით განოყიერდა ქვიშით დაფარული ფართობი (შეზიდული იქნა ტორფი, თიხა და მინერალური სასუქები) და შეიქმნა სასწავლო-საცდელი ნაკვეთი.

დერეფნის პატარა კუთხეში მოთავსებული სასკოლო ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ახალ ფართო სათავსოში. მოეწყო სამკითხველო, გაიზარდა წიგნთა ფონდი, მკითხველთა რიცხვი და სხვა.

დათვალიერების პროცესში გაძლიერდა ფოთის საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და კოლმეურნეობების შეფობა სკოლებზე. ბევრმა მათგანმა სათანადო დახმარება აღმოუჩინა სკოლებს კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების მოწყობისა და სასწავლო იარაღებით უზრუნველყოფის საქმეში. მათ გადაეცათ დანადგარები (დაზგები, მოწყობილობანი და სხვ.). ფოთის წისქვილკომბინატმა სახელოსნოს შენობის ასაგებად მე-5 საშუალო სკოლას გამოუყო 28 ათასი მანეთი. ამავე შეფმა სკოლას გადასცა 2 ცალი შიდაწვის ძრავი „დიზელი“. ჭალადიდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა ყულევის შვიდწლიან სკოლას გადასცა გუთანი, ფოცხი, „სომ“ სისტემის ტრაქტორი მისაბმელით. კოლმეურნეობამ ამავე სკოლას გადასცა კულტივატორი, რკინის კბილებიანი ფოცხი და გუთანი.

მაღალი აქტიურობის და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიზიდვის ნიშნის ქვეშ ჩატარდა სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერება ქ. თბილისის ყველა რაიონის სკოლებ-

ში. განსაკუთრებით გამოირჩევა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი, რომელსაც დათვალიერების ჩატარებამდეც ჰქონდა ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები, ხოლო დათვალიერების შედეგად რაიონის ყველა 27 სკოლაში შეფი ორგანიზაციებისა და მეგობრებით შექმნილია სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით, პოლიტექნიკური სწავლების მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოეწყო მოსწავლეების ნაკეთობათა გამოფენა.

დათვალიერების პერიოდში განსაკუთრებით კარგად და სრულყოფილად მოეწყო სასწავლო სახელოსნოები 103-ე, 83-ე, 89-ე, 77-ე, 93-ე და სხვა სკოლებში.

ასევე შესამჩნევი მიღწევებია მოპოვებული ორჯონიკიძის (57-ე, 55-ე, 53-ე, 102-ე), სტალინის (მე-18, 24-ე, 25-ე), მოლოტოვის (23-ე, 30-ე, 37-ე) რაიონების სკოლებში.

დათვალიერების პროცესში ნაყოფიერი მუშაობა არის ჩატარებული ქ. ქუთაისის სკოლებში. ამ საკითხის ორგანიზაციის საქმეში კარგად იმუშავეს და კარგ შედეგებს მიაღწიეს ქუთაისის ქალაქის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ი. ბალანჩივაძე), პროფკავშირის ქალაქკომმა (თავმჯდომარე ამხ. თ. ადამაძე) და სკოლების დირექტორებმა, პროფორგანიზაციებმა და მასწავლებლობამ. აღსანიშნავია ქ. ქუთაისის პირველი, მე-12 საშუალო და 23-ე შვიდწლიანი სკოლების მიერ დათვალიერების პროცესში გაწეული მუშაობა. ამ სკოლებს გააჩნიათ კეთილმოწყობილი სასკოლო კაბინეტები, სახელოსნოები, ბიბლიოთეკები, სასკოლო მოედნები, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები, რითაც უზრუნველყოფილია სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის პოლიტექნიკურ ნიადაგზე მოწყობა.

დათვალიერების ჩატარებამ მიიზიდა ფართო საზოგადოებრივობის ყურადღება.

აღრიცხული იქნა ის სკოლები, რომლებსაც არ გააჩნდათ სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა სწავლების პოლიტექნიკურ საფუძველზე მოწყობისათვის, გატარებულია ღონისძიებანი ამ ბაზის შესაქმნელად.

დათვალიერების საქმისადმი სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს, არ გაატარეს ეს ღონისძიება, ან გაატარეს არადამაკმაყოფილებლად და არასრულყოფილი მასალები წარმოადგინეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აბაშის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, გარდაბანის, გეგეჭკო-

რის, დმანისის, დუშეთის, თიანეთის, ლაგოდეხის, ლენტეხის, კასპის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, ტყიბულის, ხობის, ყაზბეგის, წალკის, წითელწყაროს რაიონების და ქალაქების გორის, ჭიათურის, რუსთავის განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის შესაბამისმა საოლქო, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აღინიშნოს საქართველოს სს რესპუბლიკის შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის, მათი მდგომარეობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების 1956 წლის საზოგადოებრივი დათვალიერების საქმეში აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და პროფკავშირის საოლქო კომიტეტების, ქალაქების თბილისის, ფოთის, ქუთაისის საქალაქო და სამტრედიის, ზუგდიდის, თელავის, მახარაძის, ქუთაისის, წალენჯიხის, თბილისის გარეუბნის, გორის, ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებისა და პროფკავშირის რაიკომების და შესაბამისი საოლქო, საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი დამთვალიერებელი კომისიების მიერ ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა, რის შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სკოლის ქონების აღრიცხვის, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, ინვენტარ-მოწყობილობის, მოწესრიგების, სწავლებაში მათი გამოყენებისა და პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

2. სკოლებში სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ბიბლიოთეკების, მათი მდგომარეობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებისა და დათვალიერების პერიოდში ამ საქმეში თვალსაჩინო მიღწევების მოპოვებისათვის:

ა) დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით და მიეცეთ ფულადი პრემია სკოლის სასწავლო-მატერიალური და პოლიტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის (სია შემდეგ ნომერში იქნება გამოქვეყნებული).

ბ) დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით (დაჯილდოებულთა სია გამოქვეყნებული იქნება შემდეგ ნომერში).

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ყოველწლიურად სასწავლო წლის მიწურულს (არა უგვიანეს 5 მაისისა) წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მოწინავე სკოლები და მასწავლებლები, რომლებიც 1956 წელში ჩატარებული საზოგადოებრივი დათვალიერების პირობებს დიდი წარმატებით შეასრულებენ.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
გ. ჯიბლაძე

საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავ-რე
ა. მაღლაფერიძე.

F 2037

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 628

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 21 მაისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების 1956 წლის გეგმის შესრულებისა და 1957 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებმა გასულ 1956 წელს დამაკმაყოფილებლად შეასრულეს თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის თანრიგებზე მომზადებულია:

1. ოსტატთა თანრიგზე 4
2. I თანრიგზე 163
3. II თანრიგზე 773
4. III თანრიგზე 5111
5. მოზარდთა თანრიგზე 6304.

მიუხედავად ამისა ქ. ქ. გორის, ფოთის და აბაშის, ასპინძის, ბოგდანოვკის, გარდაბანის, ლენტეხის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ვანის, ხობის, ცაგერის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, გორის, ყაზბეგის, ქარელის, კაჭრეთის, მესტიის, მცხეთის, საჩხერის რაიონების სკოლების გარკვეულმა ნაწილმა ვერ უზრუნველყო გეგმების შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. აღნიშნულ რაიონებსა და ქალაქებში გეგმების შესრულება ხდებოდა მოწინავე სკოლების ხარჯზე, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოებრივი ფიზ. კულტურული კადრების მომზადებას. სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭოები არ აღრიცხავდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა სასპორტო სკოლებში მომზადებულ

თანრიგოსნებს, ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა სპორტული შედეგები და თანრიგები ეწერებოდა სხვა ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანრიგოსანთა მომზადების 1957 წლის გეგმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი თანრიგოსანთა მომზადების გეგმების მთლიანად და ხარისხიანად შესასრულებლად;

ბ) მისცენ მითითება სკოლებს, რათა VII კლასის ყოველი ჯანმრთელი მოსწავლე, როგორც წესი, მომზადებულ იქნეს იმშთ ნიშანზე, ხოლო X კლასის მოსწავლეები—მშთ I საფეხურის ნიშანზე;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებას;

დ) ყოველი მოსწავლის მიერ ნაჩვენები სპორტული თანრიგი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივ კომიტეტში გაფორმების შემდეგ, სათანადოდ აღრიცხონ სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭოში, გასცენ საკლასიფიკაციო ბილეთი და არ დაუშვან მოსწავლეთა ნაჩვენები შედეგებისა და თანრიგების სხვა ორგანიზაციებზე გაფორმება.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) და ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები პერიოდულად მომახსენონ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 633

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 20 მაისი

ეწრის საბავშვო სახლში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ეწრის საბავშვო სახლის აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით. სამეცადინო და საძინებელი ოთახები მოუწესრიგებელია. შრომის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე. დღის რეჟიმი არ არის სწორად შედგენილი. არასაკმარისად არის გაშლილი კლასგარეშე კითხვა.

„საქვაჭრობის" სამტრედიის განყოფილება საბავშვო სახლს არ აწვდის ნორმით დადგენილ და ასორტიმენტის მიხედვით გათვალისწინებულ პროდუქტებს, საბავშვო სახლმა 1956 წელს ვერ მიიღო: ყველი 110 კგ, კართოფილი—6058 კგ, მცენარეული ზეთი—128 კგ, მაკარონი—837 კგ და სხვა, 1957 წლის იანვარსა და თებერვალში—ხორცი 111 კგ, მაკარონი—203 კგ, კარტოფილი—813 კგ, რძე—1137 ლიტრი და ერბო—101 კგ. აღნიშნული დანაკლისის შესავსებად აღსაზრდელებს აძლევდნენ პურს 900 გრამს, ნაცვლად 700 გრამისა.

საბავშვო სახლის დირექცია, როგორც 1956 წელს, ისე 1957 წელს აწარმოებს მაღალ ფასებში კარტოფილის შეძენას. მაგალითად, 1956 წლის სექტემბერში საბავშვო სახლის ყოფილ დირექტორ პ. სტურუას მიერ შეძენილია 394 კგ კარტოფილი 987 მანეთად, ნაცვლად 591 მანეთისა. 1957 წლის იანვარ-თებერვალში შეძენილია 780 კგ კარტოფილი 2842 მან. და 50 კაპ, ნაცვლად 1170 მანეთისა და 50 კაპიკისა.

საბავშვო სახლში საბუხჰალტრო დოკუმენტების გაფორმების საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. შემოსავლისა და გასავლის

ფაქტურები არ იწერება დადგენილი რაოდენობით. ფაქტურები დაუნომრავია, ზოგჯერ მენიუ არ არის დახურული.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ხელს არ აწერენ შემოსავლისა და გასავლის ფაქტურებს. ადგილი აქვს თანხების ბოროტ გადახარჯვას, ისე აუთვისებლობას. მოუწესრიგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეები.

აღსაზრდელებს სრულებით არა აქვთ დანა-ჩანგალი, აკლიათ სუფრის კოვზები, კბილის ჯაგრისები, ფხვნილი, ხელის საპონი და ცხვირსახოცები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და კვების პროდუქტების მაღალ ფასებში შეძენისათვის საბავშვო სახლის დირექტორს ს. ძიგუას გამოეცხადოს საყვედური.

მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ამხ. ს. ძიგუა, რომ თუ იგი მაღალ ფასებში შეიძენს პროდუქტებს, სამნეო ნაწილის გამგე კ. კარტოზიასთან და ბუხჰალტერ გ. კოხრეიძესთან ერთად დაეწერება ზედმეტად გადახდილი თანხა.

2. დაევალოს საბავშვო სახლის დირექტორს გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გააუმჯობესოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და მიაღწიოს მაღალ მოსწრებას;

ბ) ერთი თვის ვადაში წესრიგში მოიყვანოს თანამშრომელთა პირადი საქმეები;

გ) გადაჭრით გააუმჯობესოს აღსაზრდელთა შრომის სწავლების საქმე;

დ) სათანადოდ მოაწყოს სამეცადინო ოთახები;

ე) ზუსტად დაიცვას საფინანსო დისციპლინა, არ დაუშვას თანხების გადახარჯვა ან აუთვისებლობა;

ვ) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ ბრძანებასა და აქტებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

3. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების უფროსს ამხ. ვ. ჩინჩალაძეს თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 655

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 25 მაისი

კოჯრის და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

შემოუღობავი და კეთილმოუწყობელია სკოლა-ინტერნატების ეზოები. ყურადღება არ ექცევა შენობებისა და ინვენტარის დაცვას. კოჯრის სკოლა-ინტერნატის სასკოლო შენობაში ჩამტვრეულია მინები, ჩამონგრეულია ღუმელები, საკლასო ოთახების კედლები დასვრილი და დაფხაჭნილია, მოუვლელია სასკოლო ავეჯი, კორპუსებში არ არის გამოყოფილი დასვენებისა და გართობის ოთახი, აბაზანისა და შხაპის, აგრეთვე ჰიგიენის ოთახები გოგონებისათვის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის გასახდელი—გასაწმენდი ადგილები. ინტერნატები კეთილმოუწყობელია ავეჯით, სურათებითა და პორტრეტებით; ბეთანიის სკოლა-ინტერნატი არ არის რადიოფიცირებული; დაუმთავრებელია მუდმივი ელექტროდენის გაყვანის სამუშაოები.

საძინებელ ოთახებში არა აქვთ მაგიდები და სკამები, ხოლო ბეთანიის სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსებში არც ინდივიდუალური პატარა კარადებია.

მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეში: სამზარეულოს გამოკრული არა აქვს მენიუ; მენიუ კვლავ მხოლოდ ერთი დღისა დგება. კოჯრის სკოლა-ინტერნატში ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელებში ჭამის კულ-

ტურის ჩვევების აღზრდას; ადგილი აქვს კვების ნორმების დარღვევას; 6 და 8 მაისს აღსაზრდელებს კუთვნილი 30 გრამის ნაცვლად 15 გრამი ტკბილეული მიეცა.

მოუგვარებელია აღსაზრდელთა მომარაგება ტანსაცმელ-ფეხსაცმელით. სასწავლო საათებში, კლასგარეშე მუშაობისა და შრომის დროს ბავშვები ერთსა და იმავე ტანსაცმელში არიან. აღსაზრდელებს არა აქვთ საპარადო-სადღესასწაულო ფორმის ტანსაცმელი. არ არის მოწესრიგებული თეთრეულის გაპიროვნების საქმე. თეთრეულსა და პირსახოცებზე არ არის სპეციალური აღნიშვნები. აბანოს მიღების შემდეგ აღსაზრდელებს თავთავისი თეთრეული არ ეძლევათ და ამის გამო ის ხშირად მათზე მოურგებელია.

აღსაზრდელებზე არ არის გახსნილი საარმატურო ბარათები, რის გამო ძნელია იმის დადგენა თუ როდის, რა სახისა და ხარისხის ტანსაცმელი მიიღო თითოეულმა მათგანმა.

ტანსაცმელ-ფეხსაცმლით აღსაზრდელთა უზრუნველყოფისა და ამ დანიშნულებისათვის ასიგნებული თანხების ათვისებას ისიც უშლის ხელს, რომ სკოლა-ინტერნატები სახელმწიფო მაღაზიაში არ იძენენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს იმ შემთხვევაში, როდესაც სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას არ გააჩნია სათანადო ასორტიმენტის საქონელი.

ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას აღსაზრდელთა სანიტარული მომსახურება. ეზოებსა და შენობებში სრული ანტისანიტარიაა, არ არის დადგმული სანაგვე ურნები. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის ეზოში საპირფარეშოების ორმოები გადაუხურავია, ხოლო საპირფარეშო ოთახები—დაუსუფთავებელი. კოჯრის სკოლა-ინტერნატში არცერთ საპირფარეშოს არა აქვს საკეტი. პირსაბან ოთახებში არ არის სპეციალური კარადა ან თაროები ინდივიდუალური უჯრედებით საპნის, კბილის ფხვნილისა და კბილის ჯაგრისის შესანახად.

სათანადოდ არ არის მოგვარებული აბანოებისა და სამრეცხაოების მუშაობა. არც ერთი სკოლა-ინტერნატი არ არის უზრუნველყოფილი წყლით; ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელებში თვითმომსახურებისა და პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვას.

არც ერთ სკოლა-ინტერნატში არ არის შედგენილი მუშაკთა და აღსაზრდელთა შინაგანაწესის წესები. აღმზრდელები და აღსაზრდელები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებულ სკოლა-ინტერნატის შინაგანაწესს.

ინტერნატების დღის რეჟიმში არ არის მოცემული შინაგანაწესით გათვალისწინებული რეჟიმის ყველა ელემენტი, მოსწავლეთა ასაკისა და სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნათა შესაბამისად, კოჯრის სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს დღის რეჟიმის დარღვევას (ადრეული ძილის ჩაუტარებლობა I და II კლასების აღსაზრდელთათვის, სადილის დაგვიანებით გაცემა და სხვ.).

ბეთანიის სკოლა-ინტერნატის პრაქტიკაში არ არის სკოლა ინტერნატის უფროსი მორიგის, ინტერნატის მორიგის, სამედიცინო პუნქტის მორიგის და მორიგე მებუკის სადღეღამისო განწესება. კოჯრის სკოლა-ინტერნატის I,VI და VII კორპუსებს არა ჰყავთ ღამის ძიძები.

აღმზრდელები სისტემატურად არ ადგენენ ყოველდღიური მუშაობის გეგმებს. არც ერთი აღმზრდელი (ე. კოსოვასა და მ. მალიგინას გარდა) არ აწარმოებს პედაგოგიური დაკვირვების დღიურს.

სუსტად ხელმძღვანელობენ აღმზრდელობით მუშაობას სკოლა-ინტერნატების უფროსი აღმზრდელები ნ. ურუშაძე და ვ. ჯაფარიძე. მათ არა აქვთ თავიანთი მუშაობის გეგმები, არ ამოწმებენ აღმზრდელთა მუშაობას, გეგმებს და დღის რეჟიმთან მათ შესაბამისობას. აღმზრდელთა სამუშაო გეგმები არ არის ღამტკიცებული სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა აღსაზრდელთა კოლექტივის ორგანიზაციისათვის. არ არის ჩამოყალიბებული აღსაზრდელთა საბჭო, არ არიან არჩეული პირველადი კოლექტივების მამასახლისები, ბრიგადირები და სხვ.

უმცროსი კლასების აღსაზრდელთათვის არ არის მოწყობილი სათამაშოების ოთახები, მოძრავ თამაშობათა მოსაწყობად არა აქვთ საჭირო სათამაშოები და მოწყობილობანი.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ფიზკულტურული მუშაობა კოჯრის სკოლა-ინტერნატში. სკოლაში არ არის მასობრივ-სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა (ფიზკულტურის მასწავლებელი რ. ეგიაზაროვი). სუსტი მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის გამო ჯერ კიდევ ადგილი აქვს კოჯრის სკოლა-ინტერნატიდან აღსაზრდელთა გაპარვის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, ა/წ 6 მაისს ინტერნატიდან გაიპარა V კლასის აღსაზრდელი ვ. სეიბოვი (აღმზრდელები ქვრივიშვილი და ლაშხი). სკოლის ადმინისტრაციას ამის შესახებ განათლების სამინისტროსათვის არაფერი უცნობებია.

არ არის მოწესრიგებული შაბათსა და უქმეების წინა დღეებში აღსაზრდელთა შვებულებაში წასვლის საქმე. ხშირად აღსაზრდელები სათანადო შემოწმებისა და ნებართვის გარეშე მიდიან შვებულების ან ნათესავების სანახავად და თავის დროზე არ ბრუნდებიან.

დამოუკიდებელი სასწავლო მეცადინეობა საკლასო ოთახებში ტარდება ჩვეულებრივი გაკვეთილის სახით, რაც ანელებს აღსაზრდელთა მუშაობის ინტერესს. ცუდ ამინდში აღსაზრდელები დილიდან საღამომდე სასწავლო კორპუსებში არიან.

დაბალია აღსაზრდელთა მოსწრება. მესამე შეოთხედის ბოლოს კოჯრის სკოლა-ინტერნატში ასწრებდა V¹ კლასში აღსაზრდელთა 63,1% (აღმზრდელები გ. ქვრივიშვილი და მ. ლაშხში), V² კლასში— 63,1% (აღმზრდელები გ. პოპიაშვილი და ა. ჯიჯეიშვილი), VI¹ 63,1% (აღმზრდელები გ. ქრივიშვილი და მ. ლაშხი), V² კლასში—73% (აღმზრდელები მ. სულავა და ზ. გაბუნია).

აღნიშნულ და რიგ სხვა კლასებში ბევრია ისეთი მოსწავლე, რომელთაც მეტად სუსტად იციან რუსული ენა. რის გამო ეს მოსწავლეები ვერ ძლევენ სასწავლო პროგრამას.

აღსაზრდელთა დაბალი მოსწრების საკითხი პედაგოგიურ საბჭოს სპეციალურად არ განუხილავს და საჭირო ღონისძიებები არ დაუსახავს. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში არა ჩანს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი.

საკმაო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, მათ შორის კულტურულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლას. მეტად იშვიათად ტარდება თვითშემოქმედების საღამოები, შეხვედრები ხელოვნების, მეცნიერების მუშაკებთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან, ლიტერატურული დილები, ლაშქრობები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

აღსაზრდელთა პოლიტექნიკური სწავლების სათანადო დონეზე დაყენებისათვის სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საჭირო პირობები. ბეთანის სკოლა-ინტერნატს არა აქვს მოწყობილი საზეინკლო სახელოსნო. სასწავლო ნაკვეთები ორივე სკოლა-ინტერნატისა სათანადოდ არ არის გამოყენებული პოლიტექნიკური სწავლებისათვის.

სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობით და სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები უმთავრესად იმით

აიხსნება, რომ დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, უფროსი აღმზრდელები, სამეურნეო ადმინისტრაციული ნაწილის გამგეები სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ აწარმოებ-ლებენ აღმზრდელთა, მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობაზე. სკოლა-ინტერნატის დირექტორები ა. ბრეგვაძე და ა. სვანიძე ღრმად არ წვდებიან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესს და საჭირო რეაგირებას არ ახდენენ შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. კოჯრის სკოლა-ინტერნატს არა აქვს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სასწავლო წლის მეორე ნახევრის სამუშაო გეგმა, ხოლო ბეთანიის სკოლა-ინტერნატის გეგმაში არა ჩანს სკოლა-ინტერნატის, როგორც ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების, სპეციფიკა და აქედან გამომდინარე სამუშაოები.

არც ერთ სკოლა-ინტერნატში არ არის შესწავლილი აღმზრდელთა მუშაობა, ყურადღება არ ექცევა მოწინავე აღმზრდელთა გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას.

ხელმძღვანელობის მხრივ მუშაკების მიმართ მოთხოვნისა და კონტროლის შესუსტების გამო ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, კოჯრის სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა ლ. კორსუნმა და ბ. ნუცუბიძემ 8 მაისს უნებართვოდ გააცდინეს გაკვეთილები, ასევე უნებართვოდ გააცდინა გაკვეთილი ამ დღეს მასწავლებელმა მ. გაფრინდაშვილმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (ა. ბრეგვაძემ, ს. სვანიძემ):

1. დაუყოვნებლივ დაიწყონ და უმოკლეს ვადაში დაამთავრონ სკოლა-ინტერნატების ეზოების შემოღობვა და კეთილმოწყობა.

2. გადამჭრელი ზომები მიიღონ სასკოლო და სამეურნეო ინვენტარის დასაცავად. მუშაკებსა და აღმზრდელებს გააცნონ მახარაძის II საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივა სასკოლო ქონების მოვლისა და დაცვის შესახებ.

კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ერთი კვირის ვადაში უზრუნველჰყოს სასკოლო შენობის ოთახებსა და დერეფნებში მინების ჩასმა.

3. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა სკოლა-ინტერნატის წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად დაიწყოს და მიმდინარე წელს დაამთავროს კვესეთის ხევის-წყლის გაყვანა.

4. კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა გათბობის სეზონის დაწყებამდე უზრუნველყოს კაფელის ღუმელების დადგმა სასკოლო და საძინებელ კორპუსებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. დირექტორებმა დროულად დაიწყონ და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ სასკოლო და საძინებელი კორპუსებისა და დგამ-ავეჯის მიმდინარე რემონტი.

6.ამთავითვე მიიღონ ზომები ინტერნატისათვის დგამ-ავეჯის შესაძენად და მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საძინებელ ოთახში იყოს თითო მაგიდა, ხოლო სკამები—აღსაზრდელთა რაოდენობის მიხედვით. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა საძინებელი ოთახები უზრუნველჰყოს ინდივიდუალური პატარა კარადებით; მოაწყოს სკოლა-ინტერნატის კორპუსების რადიოფიცირება.

7. რაციონალურად გამოიყენონ საძინებელი კორპუსების ოთახები და შესაძლებლობის ფარგლებში ყველა საძინებელ კორპუსში გამოყონ აღსაზრდელთა დასვენებისა და გართობის ოთახი, უმცროსი კლასების აღსაზრდელთათვის გამოყონ და სათანადოდ მოაწყონ სათამაშოების ოთახი.

8. კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლა-ინტერნატის კუთვნილი შენობებიდან კერძო პირთა გამოსასახლებლად.

9. ყველა კორპუსში დადგან სპეციალური კარადები ინდივიდუალური თაროებითა და ყუთებით აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესანახავად.

10.გადაჭრით გააუმჯობესონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაცია. არ დაუშვან კვების ნორმების დარღვევა, სისტემატურად შეადგინონ და სასადილოში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან რამდენიმე დღის მენიუ. კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ყურადღება მიაქციოს სისუფთავის დაცვას სასადილოში. კულტურული მომსახურეობა გაუწიონ აღსაზრდელებს (ყოველ მაგიდაზე იყოს დანა-ჩანგალი, ხელის შესაწმენდი, ჭიქები, წყლის სურა). მოსთხოვონ ყველა აღმზრდელს დანერგონ აღსაზრდელებში ჭამის კულტურის ჩვევები და აღკვეთონ სასადილოში აღსაზრდელთა ხმამაღალი ლაპარაკი და ხმაური.

11. ბავშვების აკურატულად ჩაცმის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მოვლის, მათი ტარების დადგენილი ვადებისა და პირადი ჰიგიენის დაცვის უზრუნველსაყოფად:

ა) ზედა ტანსაცმელი, ქუდები, ფეხსაცმელი და თეთრეული, რომლებიც აღსაზრდელებს ეძლევათ, აუცილებლად იყოს ეროვნული ულზე მორგებული და გაპიროვნებული გარკვეული ნომრებით ან ნიშნით;

ბ) უზრუნველყოფილ იქნან აღსაზრდელები სასკოლო და ჩვეულებრივი სახმარი ტანსაცმელ-ფეხსაცმლით, დადგენილ იქნას, როგორც წესი, რომ მეცადინეობის დამთავრების შემდეგ აღსაზრდელები იხდიან და საწოლ კორპუსებში არსებულ სპეციალურ კარადებში ინახავენ სასკოლო ტანსაცმელ-ფეხსაცმელს და იცვამენ საშინაო ტანსაცმელს; აკრძალონ გარეთ სახმარი ფეხსაცმლით შესვლა საერთო საცხოვრებელში, რისთვისაც საერთო საცხოვრებელში იქონიონ სპეციალური საშინაო ფეხსაცმელი; აღკვეთონ ოჯახებიდან წამოღებული ტანსაცმლით სიარული სკოლა-ინტერნატში;

გ) ამთავითვე მიიღონ ზომები და ახალი სასწავლო წლიდან აღსაზრდელები უზრუნველჰყონ საპარადო ფორმის ტანსაცმლით, რისთვისაც უახლოეს ხანში მისცენ დაკვეთა და დაამზადებინონ ქამრები და ქუდები სპეციალური ნიშნებით;

დ) შემოიღონ თითოეულ აღსაზრდელზე გაცემული ტანსაცმელ-ფეხსაცმლის საარმატურო ბარათები დადგენილი ფორმის მიხედვით;

ე) აღსაზრდელების ჩაცმულობის ამ წესის დაცვის პასუხისმგებლობა დააკისრონ აღმზრდელებს და მისი დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დატოვონ სათანადო რეაგირების გარეშე;

ვ) სახელმწიფო სავაჭრო მაღაზიებში შეიძინონ აღსაზრდელთათვის საჭირო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იმ შემთხვევაში, როდესაც სათანადო ასორტიმენტის საქონელი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას არ გააჩნია.

12. სკოლა-ინტერნატში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის წესების დაცვისა და აღსაზრდელთა სანიტარული მომსახურების ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატების ეზოებსა, სასკოლო და საძინებელ კორპუსებში სისუფთავის დაცვას; დადგან სანაგვე ურნები საჭირო რაოდენობით;

ბ) მოაასფალტონ სასკოლო და საძინებელ კორპუსებამდე, საპირფარეშოებამდე და ყველა სათავსომდე მისასვლელი გზები;

დაგეგმონ და გაამწვანონ სკოლის ეზო, საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსების ირგვლივ მდებარე ადგილები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადახურონ და მიწით დაფარონ საპირფარეშოს ორმოები, საპირფარეშოს ყველა განყოფილებას გაუკეთონ საკეტი;

დ) ყველა პირსაბან ოთახში დადგან სპეციალური კარადა ან მოაწყონ თაროები ინდივიდუალური უჯრებით, აღსაზრდელთა რაოდენობის მიხედვით, საპნის, კბილის ფხვნილისა და კბილის ჯაგრისის შესანახავად;

ე) კვირაში ერთხელ ჩაატარონ ინტერნატის ყველა ნაგებობისა და ეზოს გენერალური დასუფთავება, ჩააბან ამ საქმეში ყველა აღსაზრდელი და დააკისრონ მათ ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის შესაფერი სამუშაოს შესრულება;

ვ) გააუმჯობესონ აბანოებისა და სამრეცხაოების მუშაობა და მაქსიმალურად გაზარდონ მათი გამტარუნარიანობა;

ზ) მოსთხოვონ აღმზრდელებს მეტი ყურადღება მიაქცინ თვითმომსახურეობისა და პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვას აღსაზრდელებში.

13. ერთი კვირის ვადაში შეადგინონ სკოლა-ინტერნატის მუშაობა და აღსაზრდელთა შინაგანაწესი საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ 1957 წლის 28 თებერვალს დამტკიცებული სკოლა-ინტერნატის დროებითი შინაგანაწესის საფუძველზე.

14. ამავე ვადაში შეადგინონ დღის რეჟიმი შინაგანაწესით გათვალისწინებული რეჟიმის ყველა ელემენტის გათვალისწინებით და არ დაუშვან მისი დარღვევა.

15. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა უზრუნველჰყოს თანამშრომელთა და უფროსი ასაკის აღსაზრდელთა ყოველდღიური სადღეღამისო განაწესების დაწესება სკოლა-ინტერნატის უფროსი მორიგის, ინტერნატის მორიგის, სამედიცინო პუნქტის მორიგისა და უფროსი მებუკის შემადგენლობით.

16. განიხილონ და დაამტკიცონ აღმზრდელთა მეოთხედური სამუშაო გეგმები; მოსთხოვონ აღმზრდელებს სისტემატურად შეადგინონ ყოველდღიური სამუშაო გეგმები და აწარმოონ პედაგოგიური დაკვირვების დღიური. დაავალონ უფროს აღმზრდელებს სისტემატურად შეამოწმონ აღმზრდელთა მიერ ყოველდღიური გეგმების წარმოება.

17. 25 ივნისამდე ჩაატარონ აღსაზრდელთა კოლექტივის საბჭოს, პირველადი კოლექტივების მამასახლისების, ბრიგადირებისა და

სხვათა არჩევნები, უხელმძღვანელონ მათ მუშაობას და წარმართონ ის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა ერთიანი მტკიცე და მიზან-მიმართული კოლექტივის შესაქმნელად, აღსაზრდელთა აქტიური სასწავლო და შრომითი საქმიანობის ფართოდ გასაშლელად.

18. მოაწესრიგონ შაბათსა და უქმეების წინა დღეებში აღსაზრ-დელთა შვებულებაში გაშვება.

19. კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ა. ბრეგვაძემ და სასწავლო ნაწილის გამგემ ვ. თუმანიშვილმა ერთი კვირის ვადაში შეადგინონ და განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა.

20. იმგვარად მოაწესრიგონ აღსაზრდელთა დამოუკიდებელი სასწავლო მეცადინეობა, რომ იგი არ ტარდებოდეს ჩვეულებრივი გაკვეთილის სახით და უზრუნველყოფდეს აღსაზრდელთადმი ქმე-დით დახმარებასა და მათი ცოდნის დონის ამაღლებას.

21. გადაჭრით გააუმჯობესონ ყოველი სასწავლო დისციპლინის სწავლების ხარისხი.

22. მეტი ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა ესთეტიკურ აღ-ზრდას, მათ შორის კულტურულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმ-ზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლას. ხშირად ჩაატარონ თვითმოქმედების საღამოები, შეხვედრები ხელოვნების, მეცნიერე-ბის მუშაკებთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან, ლიტერატუ-რული დილები, ლაშქრობები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

23. აღსაზრდელთა პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად სათანადოდ მოა-წყონ სასწავლო ნაკვეთი. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორ-მა სასწავლო წლის ბოლომდე დაამთავროს საზეინკლო სახელოსნოს მოწყობა და უზრუნველყოს მისი შეუფერხებელი მუშაობა ახალი სასწავლო წლიდან.

24. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლე-ბელთა, აღმზრდელთა და სკოლა-ინტერნატის სხვა მუშაკთა ყო-ველდღიურ მუშაობაზე. ღრმად ჩაწვდნენ სასწავლო პროცესს და საჭირო რეაგირება მოახდინონ შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. შეის-წავლონ მოწინავე აღმზრდელთა მუშაობა და განაზოგადონ მათი გამოცდილება.

25. განამტკიცონ სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შრომის დისციპ-ლინა და სათანადო სასჯელი დაადონ დისციპლინის ყოველ დამ-რღვევს.

II. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ა. ღაღუა):

1. უზრუნველყოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების სახარჯთაღრიცხვო ბიუროს მიერ ბეთანიის სკოლა-ინტერნატში წყლის გასაყვანი ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის დაჩქარება და ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიოს წყლის გაყვანის სამუშაოთა წარმოებას.

2. საჭირო ზედამხედველობა გაუწიოს კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებში სარემონტო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეს.

3. გადამჭრელი ზომები მიიღოს ბეთანიის სკოლა-ინტერნატში ელგაყვანილობის სამუშაოთა უახლოეს ხანში დასამთავრებლად და სკოლა-ინტერნატის მუდმივი ელექტროდენით უზრუნველსაყოფად.

III. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე):

1. მიიღოს საჭირო ზომები, რათა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები შეუფერხებლად მარაგდებოდნენ კარგი ხარისხისა და სათანადო ასორტიმენტის ტანსაცმელ-ფეხსაცმლით; მიმდინარე წლის ივლისამდე მოამარაგოს სკოლა-ინტერნატები საშინაო ტანსაცმელ-ფეხსაცმლით; უზრუნველჰყოს ისინი საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარით.

2. სკოლა-ინტერნატების მიერ წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე შეადგინოს და სათანადო ორგანიზაციებს წარუდგინოს განაცხადი აღსაზრდელთა საპარადო ფორმის ტანსაცმელზე.

IV. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) მიიღოს საჭირო ზომები კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებში ამ ბრძანებით გათვალისწინებულ სამუშაოთა და ღონისძიებათა შეუფერხებლად დაფინანსებისათვის.

V. მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების სკოლა-ინტერნატების მუშაობის გამოცდილების გასაცნობად მიზანშეწონილად ჩაითვალოს სკოლა-ინტერნატების მოწინავე აღმზრდელთა საწარმოო მივლინება.

VI. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ასპინძელაშვილი) ადგილზე მოაწყოს კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა გადასამზადებელი კურსები.

VII. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) ორი თვის

შემდეგ შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას მ/წ აგვისტოში.

VIII. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ ფართოდ გააშუქოს ტელევიზიისა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 677

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 27 მაისი

ზუგდიდისა და მესტიის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ზუგდიდისა და მესტიის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლას ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

კარგად მუშაობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მ. გვარლიანი, ე. გუჯეჯიანი (მესტიის საშუალო სკოლა), ლ. მჭედლიშვილი (მესტიის რაიონი, ლენჯერის საშუალო სკოლა), ფიზიკის მასწავლებელი შ. გვარლიანი (მესტიის საშუალო სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებლები: ვ. მეგენეიშვილი, მ. ჩართოლანი, ლ. ნავერიანი (მესტიის საშუალო სკოლა); ქიმიის მასწავლებლები: პ. ანთელავა (ზუგდიდის რაიონი, ჯიხასკარის საშუალო სკოლა), ხ. ქირია (ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლა).

სათანადო სიმაღლეზე დგას პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოში და მანქანათმცოდნეობის სწავლება ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ხუბულავა, მასწ. ვ. კვარაცხელია). სახელოსნო უზრუნველყოფილია ხეზე და ლითონზე მუშაობისათვის ყველა იმ ხელსაწყო-იარაღით, დაზგით, ჩარხით და მასალებით, რომლებსაც პროგრამა ითვალისწინებს. ბავშვებში გამომუშავებულია პრაქტიკული მუშაობის ცოდნა-ჩვევები.

მიუხედავად ამისა, ზუგდიდისა და მესტიის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ძალზე

დაბალ დონეზე დგას რუსული ენის სწავლება ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის V—VI კლასებში. მასწავლებელი პ. როგავა (სპეციალობით ისტორიკოსი) ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს; იგი არ უსწორებს მოსწავლეებს ზეპირმეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, დროულად არ ასწორებს საკონტროლო წერით ნამუშევრებს. V—VI კლასებში 18 მარტის საკონტროლო წერითი ნამუშევრები 15 აპრილისათვის არ იყო გასწორებული და რუსულ ენაში (წერა) III მეოთხედის ნიშნები წერითი ნამუშევრების შეფასების გარეშეა დაწერილი.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს რუსულ ენაში ზუგდიდის რაიონის კახათის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი დ. დგებუაძე). მოსწავლეებმა ვერ შესძლეს მარტივი გავრცობილი და მარტივი გაუვრცობელი წინადადების წევრების გამოცნობა. დაბალია მათი წერითი მეტყველების კულტურა. მასწავლებელი დგებუაძე არ აწარმოებს საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორებას.

სუსტად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა მესტიის რაიონის ჭუბერის საშუალო სკოლაში (მასწ. გოშთელიანი). აღნიშნული მასწავლებელი, ენის სუსტად ცოდნისა და დაბალი კვალიფიკაციის გამო, ვერ აყალიბებს მოსწავლეთა ზეპირმეტყველებას და მათ ორთოგრაფიულ წიგნიერებას. მოსწავლეების სიტყვათა მარაგი ღარიბია, განუვითარებელია კითხვის ტექნიკა. სრულიად არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა ზუგდიდის რაიონის რუხის (მასწ. მ. ოყუჯავა), ახალსოფლის (მასწ. დ. ბებურია), მესტიის რაიონის ჭუბერის (მასწავლებელი ს. ცინდელიანი), ხაიშის (მასწავლებელი დ. ცალიანი), ბეჩოს (მასწავლებელი ვ. ჩარკვიანი), ლენჯერის (მასწავლებლები ლ. ონიანი და ლ. გუდედიანი), მესტიის (მასწ. ვ. ილდანი) საშუალო და ლატალის (მასწავლებელი ე. ნანსკვიანი) შვიდწლიანი სკოლების დაწყებით კლასებში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა ზუგდიდის რაიონის რუხის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ა. ოყუჯავა საშუალო განათლებითაა, იგი ვერ ფლობს საგანს, ვერ ცნობს ფიზიკის ხელსაწყოიარაღებს. მესტიის რაიონის ხაიშის საშუალო სკოლის VII კლასში მასწავლებელმა ს. ჭკადუამ (სპეციალობით ისტორიკოსი) ბერკეტის დანიშნულება სადემონსტრაციო ცდის გარეშე გადასცა, არასწორად განსაზღვრა ბერკეტის წონასწორობის პირობა. მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნის პროცესში გამოამჟღავნა პროპორციის ძირითა-

დი თვისების უცოდინარობა. ბეჩოს საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ს. ივეჩიანმა (სპეციალობით ისტორიკოსი) ვერ შესძლო საზომხელსაწყოთა სკალაზე დანაყოფის გამოანგარიშება. ასევე ცუდად ასწავლის ფიზიკას მესტიის საშუალო სკოლის VI კლასში მასწავლებელი ლ. ნავერიანი (სპეციალობით ბიოლოგი). ეს მასწავლებლები გაურბიან ფიზიკაში ამოცანების ამოხსნას, მოსწავლეებს საშინაო დავალებას სრულებით არ აძლევენ ან ავალებენ სახელმძღვანელოდან სურათების გადმოხატვას. სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის მესტიის რაიონის ხაიშის, ლენჯერის საშუალო და ლატალის შვიდწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებლები გ. ჭკადუა, ფ. ფილფანი და თ. მარგიანი.

ახალსოფლის საშუალო სკოლაში ასტრონომიას ასწავლის ისტორიკოსი გ. ყუფუნია, რომელმაც არ იცის საგანი, ასევე ცუდადაა დაყენებული ასტრონომიის სწავლება ჯიხასკარის საშუალო სკოლაში (მასწ. გ. გ. გეთია).

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება ზუგდიდის რაიონის რუხის საშუალო სკოლაში. ქიმიის კაბინეტში არსებული რეაქტივები და ჭურჭელი დამტვრიანებულია, ქიმიური ტაბულები სრულიად განადგურებულია. მასწავლებელი ე. კუკავა (სპეციალობით ბიოლოგი) არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ ცდებსა და დემონსტრაციებს. IX' კლასში „იონთა შეფერილობის“ ახსნის დროს ვერ მოახერხა ცდით ეჩვენებინა, რომ კალიუმის იონი უფერულია. ასევე სრულიად არა სწორად იქნა ნაჩვენები ჟანგბადის მიღება.

ამავე რაიონის სოფელ ანაკლიის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ლ. ბულია (გასულ წელს დამთავრებული აქვს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი) სუსტად ფლობს საგანს, არ ატარებს სადემონსტრაციო ცდებს.

ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს ქიმიის სწავლება მესტიის რაიონის ხაიშის, ჭუბერის საშუალო და ლატალის 7-წლიან სკოლებში (მასწავლებლები გ. ქურდიანი, ლ. ქანთარია, კ. გირგვლიანი). მოსწავლეები პროგრამით გათვალისწინებულ ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან.

მესტიის რაიონის ლენჯერის საშუალო სკოლას ქიმიის რეაქტივებისა და ჭურჭლების სრული კომპლექტი აქვს, მაგრამ იგი გამოუყენებელია, უწესრიგოდაა ჩაყრილი კარადაში. მასწავლებლები

მ. კოხრეიძე და ე. გულბანი მოუმზადებლად ატარებენ გაკვეთილებს. დაბალია მოსწავლეთა მომზადება.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ბუნებისმეტყველება ზუგდიდის რაიონის ანაკლიის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ე. ჩაჩუა არ ემზადება გაკვეთილებისათვის, იშვიათად ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს, მოსწავლეები გავლილი მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ. ანალოგიური მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონის რუხის (მასწ. ნ. მალანია), მესტიის რაიონის ხაიშის (მასწ. ლ. ქანთარია), ჭუბერის (მასწ. კ. გირგვლიანი), ბეჩოს (მასწ. შ. გურგულიანი) საშუალო სკოლებში.

ძალზე ღარიბია ბუნებისმეტყველების კაბინეტები ზუგდიდის მე-6, ჯიხასკარის, ახალსოფლის, ანაკლიის, მესტიის რაიონის ჭუბერის საშუალო და ლატალის შვიდწლიან სკოლებში.

ზუგდიდის მე-6 (მასწავლებელი შ. სიორდია), კახათის (მასწავლებელი ა. ხულორდავა), ხაიშის (მასწ. ს. ჭკადუა), ბეჩოს (მასწავლებლები ა. კვიციანი და ც. კვიციანი), ლენჯერის (მასწავლებლები ა. გულედანი და ი. ხაფთანი) საშუალო სკოლებში ისტორიის სწავლება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ეს პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ ისტორიის მასწავლებლები თავისთავზე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და გაკვეთილის ახსნისას იმის გადმოცემასაც ვერ ახერხებენ, რაც სასკოლო სახელმძღვანელოშია მოცემული. მასწავლებლები კმაყოფილდებიან მხოლოდ ისტორიული ფაქტების უბრალო თხრობით; არ ახდენენ ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების განზოგადებას და შესაფერისი დასკვნების გამოტანას; ისინი არ აწარმოებენ იმის სისტემატურ შემოწმებას, რამდენად მტკიცედ და გააზრებულად აქვთ მოსწავლეებს შეთვისებული შესწავლილი მასალა, არ ატარებენ გავლილი მასალის რეგულარულ განმეორებას და სხვ. ამის შედეგად მოსწავლეებს პროგრამული მასალა მეტად ზერელედ აქვთ შეთვისებული.

სათანადო ყურადღება არ ექცევა პოლიტექნიკურ სწავლებას ზუგდიდისა და მესტიის რაიონების სკოლებში.

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის (დირექტორი ა. გელანტია), რუხის (დირექტორი ი. ურიდია), ანაკლიის (დირექტორი ვ. დიდიშვილი), მესტიის რაიონის ხაიშის (დირექტორი ი. გულედანი), ჭუბერის (დირექტორი ა. ჩხუმიანი), ლენჯერის (დირექტორი ა. მარგიანი) საშუალო სკოლებში არაა მოწყობილი სახელოსნოები და ნაცვლად

პრაქტიკული მეცადინეობისა სასწავლო სახელოსნოში მეცადინეობა ტარდება სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე. მესტიის რაიონის სკოლების IX—X კლასებში მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმების საათები სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს ეთმობა. [illegible] სკოლებში ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის საათები ეთმობა სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმებსა და ფიზიკას. მესტიის საშუალო სკოლაში ელექტროტექნიკას ასწავლის ბიოლოგი ლ. ნავრიანი, რომელმაც არ იცის საგანი. ცუდად არის დაყენებული მეცადინეობა სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ბეჩოს (მასწ. შ. გურგულიანი) საშუალო სკოლაში.

მესტიისა და ხაიშის საშუალო სკოლებს სრულიად არა აქვთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთი.

სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, არა აქვთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთის ტოპოგრაფიული სქემები, ნაკვეთზე წარწერები, და თვით ნაკვეთი არ არის დაყოფილი განყოფილებებად; მოუწყობელია ზოოლოგიური განყოფილება. არაა გამლილი ნორჩ ნატურალისტთა მუშაობა, სკოლაში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და დაკვირვებები.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება პრაქტიკუმი სოფლის მეურნეობაში რუხის (მასწ. ტ. ღურწკაია), ჯიხასკარის (მასწ. ვ. ჩახაია), ლენჯერის (მასწ. ე. გულბანი) საშუალო სკოლებში.

ჭუბერის საშუალო სკოლაში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს ფიზიკოსი ზ. კვარაცხელია ასწავლის, რომელსაც არ შეუძლია ამ საგნის სწავლება.

სკოლებს არა აქვთ შედგენილი სასწავლო ექსკურსიების წლიური გეგმები და არ ტარდება სასწავლო ექსკურსიები საექსკურსიო კვირის ხარჯზე.

სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები გაკვეთილებზე დასწრებით არ ავლინებენ ცალკეული საგნების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებებს და არ ღებულობენ ქმედით ზომებს მათ გამოსასწორებლად. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორს ა. გელანტიას (23 გაკ.), კახათის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ხულორდავას (40 გაკ.), ხაიშის საშუალო სკოლის დირექტორს ი. გულედანს (40 გაკ.), სასწავლო ნაწილის გამგეს ს. ჭკადუას (39 გაკ.), ჭუბერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს გ. ფარჯიანს

(26 გაკ.), ბეჩოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ე. კვიციანს (12 გაკ.). შემოწმებული სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები თითქმის სრულიად არ ესწრებიან კონტროლო წერის გაკვეთილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა შემოწმებულ სკოლებში, უმეტეს შემთხვევაში მეთოდკომისიების სამუშაო გეგმებში შეტანილი საკითხები ზოგადია, მასწავლებელთა მიერ წაკითხული მოხსენებები წარმოადგენენ სხვადასხვა მეთოდური წერილების არაზუსტ ასლს, იმ განსხვავებით, რომ მათში დაშვებულია შინაარსობრივი და ენობრივი შეცდომები, მოხსენებებში არა ჩანს მასწავლებლის საკუთარი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

შესწავლილი სკოლების წლიური სამუშაო გეგმები არაკონკრეტულია.

კლასის ხელმძღვანელების სასწავლო-საალმზრდელო გეგმები ზერელედ და სკოლის სპეციფიკური პირობების გაუთვალისწინებლად არის შედგენილი. გეგმებში არ არის გათვალისწინებული აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის კონკრეტული საკითხები ცალკე კლასების მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებათა შესაბამისად, და არსებითად ცოტა რამ არის გაკეთებული მოსწავლეებში კულტურული ჩვევების დანერგვისათვის. კლასის ხელმძღვანელები არ ახდენენ საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების სწორად შეჯამებას, არ სწავლობენ ინდივიდუალურად თითოეულ მოსწავლეს. ნაკლებად ეწევიან პედაგოგიურ პროპაგანდას მშობელთა შორის.

ზუგდიდის რაიონის კახათის (დირექტორი ა. ხულორდავა), ახალსოფლის (დირექტორი ა. გელანტია), მესტიის რაიონის ბეჩოს (დირექტორი შ. ბალანჩივაძე), ხაიშის (დირექტორი ი. გულედანი), საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პირველი, მეორე და მესამე მეოთხედის შედეგების შესახებ მოსმენილია მხოლოდ კლასის ხელმძღვანელების ინფორმაციები, არაა გაკეთებული მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ანალიზი და არაა დასახული კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მესამე მეოთხედის ბოლოს ასწრებს ზუგდიდის რაიონის სკოლების 15753 მოსწავლიდან 12267 (78,0%), მესტიის რაიონის სკოლების 3708 მოსწავლი-

დან—2837 (76,4%). ცუდად არის დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა, III მეოთხედის შედეგად ვერ ასწრებს ზუგდიდის რაიონის სკოლებში 219 მეორეწლიანი მოსწავლე, მესტიის რაიონის სკოლებში — 60.

პედაგოგიურად და მეთოდურად გაუმართლებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის, კახათის, მესტიის რაიონის ხაიშის, ბეჩოს, ლენჯერის საშუალო სკოლებში.

ზუგდიდისა და მესტიის რაიონების განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საყოველთაოსავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს, არსებითად არ სწავლობენ მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის მიზეზებს და არ ღებულობენ ეფექტურ ზომებს განთესვის თავიდან ასაცილებლად, სკოლიდან გასული მოსწავლეების სწავლებაში ჩასაბმელად, ზუგდიდის რაიონის შემოწმებული 6 საშუალო სკოლიდან განთესილია 62, მესტიის რაიონის 6 სკოლიდან—41 ბავშვი.

არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლებს ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ა. ჭითანავა). რაიონში არსებული 26 საშუალო, 25 შვიდწლიანი და 26 დაწყებითი სკოლიდან მ/წელს შესწავლილია 6 საშუალო, ერთი შვიდწლიანი სკოლის მუშაობა და 11 დაწყებით სკოლაში რუსული ენის სწავლების მდგომარეობა. მიმდინარე სასწავლო წელს სახალხო განათლების საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მესტიის რაიონში. განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილი აქვს 4 საშუალო, 6 შვიდწლიანი, 18 დაწყებითი და 4 სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობა და გამოკვლევის მასალები მიღებული აქვს სკოლებს.

ზუგდიდის (გამგე ა. ჭითანავა) და მესტიის (გამგე ნ. აფრიდონიძე) განათლების განყოფილებები არ ახორციელებენ თანმიმდევრულ ღონისძიებებს მოსწავლეებში სახელმწიფო ქონებისადმი გულისხმიერი მოპყრობის ჩვევების დასანერგავად. ამიტომაა, რომ ნაადრევად ზიანდება სკოლის შენობები, იმტვრევა, ფუჭდება და მწყობრიდან გამოდის სასკოლო დგამ-ავეჯი. ზუგდიდისა და მესტიის რაიონების განათლების განყოფილებებმა სათანადო თაოსნობა არ გაუწიეს სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის მტკიცე ჩვევების გამომუშავების საქმეში მახარაძის II საშუალო სკოლის

გამოცდილების რაიონის სკოლებში დანერგვის საქმეს. აღნიშნული თაოსნობა არაა განხილული არცერთ სკოლაში.

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. გელანტია) შენობა მოუვლელია, მინები ჩამტვრეულია, შიგა კედლები ჩამონგრეულია, სკოლის ეზოში გამეფებულია ანტისანიტარია. სკოლის კედლებზე მრავლადაა მოსწავლეთა მიერ გაკეთებული უხამსი წარწერები, მერხები და მაგიდები დაჭრილი ან დამტვრეულია.

ანალოგიური მდგომარეობაა მესტიის რაიონის ლენჯერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. მარგიანი).

თელაველთა მოწოდების პასუხად დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისათვის სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობით აღნიშვნის მიზნით ზუგდიდისა და მესტიის რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და განათლების მუშაკები აქტიურად ჩაებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს სათანადო ვალდებულებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ზუგდიდისა და მესტიის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ა. ჭითანავა და ნ. აფრიდონიძე):

ა) საჭირო კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებაზე. უზრუნველყონ ახალი სასწავლო წლიდან სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმა და არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა უმიზეზოდ გასვლის შემთხვევები;

ბ) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის შესწავლის შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გასაუმჯობესებლად;

გ) ყველა ზომა მიიღონ თელაველთა მოწოდების საპასუხოდ ახალი სასწავლო წლის სანიმუშო მომზადებისათვის, დარაზმონ განათლების ყველა მუშაკი, რათა უზრუნველყოფილ იქნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისადმი დახმარების შესახებ რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

დ) მკაცრი სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს და სკოლის ხელმძღვანელებს, ,,ომავალი სასწავლო წლის პირველ მეოთხედში შეამოწმონ მათი საქმიანობა და თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, ეს-ითვალისწინებ წესის დაცვით დააყენონ საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

ე) ჩამოართვან რუსული ენის საათები ამ ბრძანებაში აღნიშნულ დაწყებითი კლასების იმ მასწავლებლებს, რომლებსაც თავისი მომზადებით არ შეუძლიათ ასწავლონ რუსული ენა, და ეს გაკვეთილები გადასცენ რუსული ენის სათანადოდ მცოდნე მასწავლებლებს.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას, სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) უმოკლეს ვადაში მოიყვანონ სრულ წესრიგზე ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები, შეავსონ ისინი პირველი რიგის საჭიროების მოწყობილობით და უზრუნველყონ სწავლებისათვის მათი ნაყოფიერად გამოყენება;

გ) ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებს, უზრუნველჰყონ მათი მომზადების დონის ამაღლება;

დ) სანიმუშოდ მოაწყონ და მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი;

ე) ფართოდ გაშალონ მუშაობა მახარაძელთა მოწოდების განსახორციელებლად, სანიმუშოდ მოუარონ სასკოლო შენობას, დგამავეჯს, სასწავლო ინვენტარს, თავიდან აიცილონ მათი ყოველწლიური რემონტი და სახელმწიფო სახსრების ეს დანაზოგი მოახმარონ სკოლის მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას.

3. ახალი სასწავლო წლიდან, როგორც არასპეციალისტებს, ჩამოერთვათ ფიზიკის საათები ა. ოყუჯავას (ზუგდიდის რაიონი, რუხის საშუალო სკოლა), ს. ჭკადუას (მესტიის რაიონი, ხაიშის საშუალო სკოლა), ს. ივეჩიანს (მესტიის რაიონი, ბეჩოს საშუალო სკოლა), ასტრონომიის საათები გ. ყუფუნიას (ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა), რუსული ენის საათები პ. როგავას (ზუგდიდის რაიონი, ახალსოფლის საშუალო სკოლა), ელექტროტექნიკის საათები ლ. ნავრიანს (მესტიის საშუალო სკოლა), სოფ-

ლის მეურნეობის პრაქტიკუმის საათები ზ. კვარაცხელიას (მესტიის რაიონის ჭუბერის სკოლა).

4. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი ა. გელანტია სკოლის შენობისა და დგამ-ავეჯის მოვლა-ექსპლუატაციის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის განთავისუფლდეს დირექტორის თანამდებობიდან.

5. ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ჭითანავას მიეთითოს, რათა მან არსებითად გააუმჯობესოს და გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის სკოლებისადმი.

6. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 678

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 27 მაისი

საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სკოლის პოლიტექნიზაციის შესახებ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში ერთგვარი მიღწევებია მოპოვებული. 2149 შვიდწლიანი და საშუალო სკოლიდან 1065 სკოლაში მოეწყო 1359 სახელოსნო, მათგან 390 საზეინკლო, 573 სადურგლო და 396 კომბინირებული. 946 საშუალო სკოლიდან მანქანათმცოდნეობის კაბინეტი აქვს 229, ხოლო ელექტროტექნიკისა—138 სკოლას.

წარმოებისათვის გამოუყენებელი და პოლიტექნიკური სწავლებისათვის ვარგისი მანქანა-იარაღების სკოლებზე უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 მაისის განკარგულების პრაქტიკულად განხორციელების შედეგად, ფართოდ დაინერგა წარმოება-დაწესებულებების შეფობა და დახმარება სკოლებზე. შეფორგანიზაციებმა მოუწყვეს სკოლებს 144 საზეინკლო, 159 სადურგლო, 89 მანქანათმცოდნეობისა და 44 ელექტროტექნიკის კაბინეტი. მათ უსასყიდლოდ გადასცეს სკოლებს 394 ჩარხი, 451 სადურგლო და 242 საზეინკლო დაზგა, 1975 გირაგი, 273 ავტომანქანა, 229 ტრაქტორი, 233 ელექტრომოტორი, 153 გუთანი, 139 კულტივატორი, 39 ტრიერი, 17 სეპარატორი და 3 მილიონ მანეთამდე ღირებულების ხელსაწყო-იარაღები.

თბილისის მაუდ-კამვოლის ქარხანამ თბილისის 22-ე საშუალო სკოლას აუგო სახელოსნოსათვის ახალი შენობა და უზრუნველყო იგი ხელსაწყო-იარაღებით. ლაგოდეხის რაიონის „პრავდას“ სახე-

ლობის კოლმეურნეობამ ყარსუბნის საშუალო სკოლას თავისი სახსრებით აუშენა ოროთახიანი შენობა სახელოსნოსათვის, ცხაკაიას რაიონის ხალიჩების საქსოვმა ფაბრიკამ, ცეკავშირის [illegible] ნებლო-სარემონტო კანტორამ და ავტობაზამ ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლას აუშენეს 216 კვ. მეტრი ფართობის აგურის კაპიტალური შენობა. მშობელთა კომიტეტის ინიციატივით ამავე რაიონის ნოსირის საშუალო სკოლისათვის აშენდა 75 კვ. მეტრი ფართობის ხის შენობა.

სკოლებზე დახმარების საქმეში გამოირჩევიან ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა (დირექტორი ნ. გომელაური), ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა (დირექტორი შ. კიკნაძე), საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო (მინისტრი გ. ა. ალავიძე), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო (მინისტრი მ. თ. ჩხეიძე), ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო (მინისტრი გ. ს. ჯომარჯიძე), წყალთა მეურნეობის სამინისტრო (მინისტრი გ. ქობულია), ქ. ტყვარჩელის „შახტმშენებლობის" სამმართველო (უფროსი მ. ბოლოტოვსკი), ქ. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა (დირექტორი ზ. ფირიაშვილი), სტალინირის მტს-ი (დირექტორი გ. გახელიძე), ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველო (დირექტორი შ. პაქსაშვილი), თელავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი (დირექტორი ი. ყარაულაშვილი), ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა (დირექტორი ლ. მაღლაკელიძე), ანასეულის ჩაის სამეცნიერო-საკვლევი და ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტები (დირექტორები ი. გამყრელიძე და ნ. ტყეშელაშვილი) და სხვ.

სპეციალური სახსრებით შეიძინეს სკოლებმა 117 ჩარხი, 429 სადურგლო და 155 საზეინკლო დაზგა, 112 ელექტრომოტორი და მილიონ ნახევარზე მეტი მანეთის ხელსაწყო-იარაღები.

რესპუბლიკის 4168 დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლიდან 0,5 ჰექტარზე მეტი სასწავლო-საცდელი ნაკვეთი აქვს 1543-ს, ხოლო 0,5 ჰექტარზე ნაკლები—2081 სკოლას.

საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოების, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთის კეთილმოწყობისა და ახლად შემოღებული საგნების სწავლების კარგი ორგანიზაციის მხრივ მოწინავე სკოლების გამოცდილება ფართოდ ინერგება რესპუბლიკის სკოლებში.

ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის (დირექტორი გ. კობახიძე) საზეინკლო, სადურგლო სახელოსნოები და მანქანათმცოდნეობის კაბინეტი უზრუნველყოფს პრაქტიკულ მეცადინეობებსა და ტიკუმებში ჩასატარებელ პროგრამით გათვალისწინებულ მუშაობას. სახელოსნოები და კაბინეტები აღჭურვილია ლითონისა და ხეზე მუშაობისათვის საჭირო დაზგებით, ჩარხებით, ხელსაწყო-იარაღებით, სხვადასხვა მანქანების ნაწილებით, პლაკატებით და საჭირო მასალით. სახელოსნოებსა და კაბინეტებში დაცულია უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები. ქ. ქუთაისის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯ. საკანდელიძე) სახელოსნოებისა და კაბინეტებისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობის ოთახები. მიმდინარე სასწავლო წლისათვის სახელოსნოები შეივსო 180.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღებით, რაც სავსებით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობის შესრულებას. მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული ხელის იარაღების გამოყენებასა და მათ მომზადებას მუშაობისათვის, იციან ჩარხებსა და დაზგებზე მუშაობის წესები, ამზადებენ ზოგიერთი სახის ხისა და ლითონის მარტივ ხელსაწყო-იარაღებს, რომლებსაც იყენებენ პრაქტიკული მუშაობისათვის სასწავლო სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში. ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლაში დირექტორის შ. ბრაგვაძის მოქნილი მუშაობით, საშეფო ორგანიზაციისა (ა/ კ. მეტალურგიული ქარხანა) და მშობელთა კომიტეტის აქტიური დახმარებით შექმნილია მტკიცე სასწავლო-მატერიალური ბაზა პოლიტექნიკური სწავლებისათვის. ამ სკოლის სახელოსნოებში მოსწავლეები განსაკუთრებული დაინტერესებით მუშაობენ და ეუფლებიან პრაქტიკული მეცადინეობის პროგრამულ საკითხებს. კარგი მატერიალური ბაზა აქვს სიღნაღის რაიონის წნორის საშუალო სკოლას (დირექტორი ი. ჭაბაშვილი). ამ სკოლის მასწავლებლის დ. გალუსტოვის ინიციატივით და ხელმძღვანელობით მოწყობილია კარგი საზეინკლო სახელოსნო და მანქანათმცოდნეობის კაბინეტი. სახელოსნოში მოთავსებულია ოთხი მაგიდა 25 სამუშაო ადგილით, მასწავლებელი დ. გალუსტოვი სისტემატურად ემზადება გაკვეთილებისათვის, საინტერესოდ და გასაგებად გადასცემს ახალ მასალას. მოსწავლეებს შეთვისებული აქვთ პროგრამული საკითხები. ხაშურის I-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი თ. ცინცაბაძე) სახელოსნო აღჭურვილია საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. მასწავლებლის

(ვ. ხარაბაძე) ხელმძღვანელობით მოსწავლეთა მიერ სახელოსნოში დამზადებულია ხისა და ლითონის ნაკეთობანი, რომლებსაც იყენებენ სკოლაში თვალსაჩინო სწავლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო სახელოსნოებში კარგად ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. სიდოროპულო. მან პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილზე (თემა— თუნუქის დამუშავება) მარტივად გააცნო მოსწავლეებს ფურცლოვანი ლითონის მიღების წესი და მოთუთიებული თუნუქის გამოყენება; გასაგებად განუმარტა მოსწავლეებს თუნუქის ამოჭრის, გადაღუნვისა და ნაჭრების გადაბმის ხერხები. სახელოსნოში პრაქტიკული მეცადინეობის მოწინავე მასწავლებლებია აგრეთვე პ. ლიტვინენკო (ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლა), რ. კარაპეტოვი (მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლა), ვ. ღამბაშიძე (ქუთაისის რაიონის ქვიტირის საშუალო სკოლა) და სხვ.

მოხერხებულად იყენებს არსებულ შესაძლებლობას მასწავლებელი გ. რობიტაშვილი წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში. მან მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმზე თემის— „ძრავის კვების სისტემის“ გაცნობისას კარგად გამოიყენა კარბურატორიანი ძრავი, კვების სისტემის შემადგენელი ნაწილები და კვების სისტემის შესაბამისი პლაკატები. კარბურატორის საფუძვლიანად გაცნობის მიზნით მოსწავლეებს ფიზიკიდან მოაგონა სითხეებსა და გაზებზე წნევის გავლენა, რის შედეგადაც მოსწავლეთათვის გასაგები გახადა კარბურაციის მუშაობის პრინციპი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად იყენებს ფიზიკის ლაბორატორიას ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის ჩასატარებლად. ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. მოისეენკომ მოსწავლეებს გააცნო აღმრიცხველის სქემა და გაარჩია ინდუქტიური ელექტროენერგიის აღმრიცხველის მუშაობის პირობები და დანიშნულება; კლასი ჯგუფებად გაყო და თვითეულ ჯგუფს მისცა აკუმულატორის ბატარეა, ამპერმეტრი, ვოლტმეტრი, რეოსტატი, ჩამკეტი, ელნათურა და წამმზომი. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ მოსწავლეები დაუფლებული არიან ამ ხელსაწყოებზე მუშაობას. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ქ. ბათუმის 1-ლი, ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლების მასწავლებლები მ. ჩიხლაძე და მ. ბურჭულაძე, მახარაძის რაიონის ლიხაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. თაყაიშვილი და სხვ.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმი ხაშურის რაიონის ალის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ნ. მარტინენკო მთელი შესაძლებლობით იყენებს სწავლების პროცესში სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთს, ადგილობრივ კოლმეურნეობას, მეცხოველეობის ფერმასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. ამ სკოლის მოსწავლეები პრაქტიკულად არიან დაუფლებული ნიადაგის განოყიერების წესებს, ხეხილისა და ვაზის გასხვლის მეთოდებს, ცხოველთა საკვების დამზადებას, მეწველი ძროხის მოვლას და ამასთან ერთად წველადობის გაზრდის სხვა ღონისძიებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში კარგადაა მოწყობილი სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. მოსწავლეები აქ ღებულობენ პრაქტიკული მუშაობის ჩვევებს პროგრამული მასალის თეორიულ კურსთან დაკავშირებით, დიდი ინტერესით აყენებენ სხვადასხვაგვარ ცდებს, რომლებიდანაც მიღებული ღირსშესანიშნავი შედეგები ინერგება ადგილობრივ კოლმეურნეობებში.

თელავის რაიონის ვანთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა დ. კბილაშვილმა სანიმუშოდ მოაწყო სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. ნაკვეთზე მოაწყო სათბური, ზოოლოგიური კუთხე, ხეხილის ბაღი, ვენახი, ყვავილნარი. ნაკვეთის ერთ ნაწილზე დაყენებულია ცდები მარცვლოვან მცენარეთა უხვმოსავლიანობის პირობების დადგენის შესახებ.

ტყიბულის რაიონის გელათის შვიდწლიანი სკოლის (მასწავლებელი ა. ელიაშვილი) სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე გაშენებულია თითქმის ყველა ძირითადი კულტურა; მოწყობილია კვალსათბური და ზოოლოგიური კუთხე, სადაც მოსწავლეები აწარმოებენ ცდა-დაკვირვებას მემცენარეობასა და მეცხოველეობაში. მოსწავლეებმა დააყენეს ცდები ხორბლეულის 20-დე სხვადასხვა ჯიშზე და 3—4 წლის დაკვირვების შედეგად შეარჩიეს ხორბლის 2 ჯიში, რომელიც კარგ შედეგს იძლევა ადგილობრივ პირობებში. სკოლის ეს გამოცდილება დაინერგა ადგილობრივი კოლმეურნეობის პრაქტიკაში. სკოლამ სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ გამეჩხერებული ჩაის ნათესების შევსება უმჯობესია არა გამოთესვით, არამედ ჩაის ჩითილების გამორგვის გზით, რითაც ერთი წლით ჩქარდება მოსავლის მიღება.

კარგადაა მოწყობილი სასწავლო-საცდელი ნაკვეთები და სათანადოდ იყენებენ მათ სწავლების პროცესში ქ. თბილისის 78-ე, 71-ე,

102-ე, ქ. ქუთაისის მე-2, ქუთაისის რაიონის ბარდუბნის, გაგრის რაიონის კოლხიდის, წყალტუბოს რაიონის მუხიანის საშუალო, საბ-ტრედიის რაიონის ეწრისა და ცხაკაიას რაიონის კოტიანეთის [illegible] წლიანი სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის პირველდაწყებითი ჩვევებით შეიარაღებას დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი. ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. მახარაძე სრულყოფილად ატარებს ხელგარჯილობის გაკვეთილებს. მასწავლებელი მახარაძე ხშირად ატარებს ღია გაკვეთილებს, სადაც რაიონის სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ესწრება. ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელმა ქ. გუჯაბიძემ გაკვეთილის თემა—„სათესლე პარკის შეკერვა" კარგად დაუკავშირა წინა გაკვეთილზე შესრულებულ სამუშაოს. მან ბავშვებს უჩვენა ბამბის ქსოვილიდან დამზადებული პარკი და დაურიგა მოსწავლეებს საჭირო მასალა. მოსწავლეებმა დიდი მონდომებით შეასრულეს მასწავლებლის დავალება. ქ. თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ნაცვლიშვილი მოხერხებულად უკავშირებს ხელგარჯილობის გაკვეთილებს სხვა საგნების სწავლებას.

კარგად არის ორგანიზებული საწარმოო სწავლება თბილისის მე-4, 57-ე (დირექტორები ა. ქურიძე და ვ. ჯიქია), სტალინირის მე-2 (დირექტორი ნ. ოსტაევი) და ქუთაისის მე-14 (დირექტორი თ. კოკოჩაშვილი) სკოლების VIII კლასებში. მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან წარმოებაში სხვადასხვა სპეციალობებსა და კვალიფიკაციას.

მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების საქმეში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს (დირექტორი გ. ეპიტაშვილი) და ნორჩ ნატურალისტთა რეს-პუბლიკურ სადგურს (დირექტორი შ. მანგიაშვილი).

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო 793-მა სკოლამ, სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებამ. ნორჩმა ტექნიკოსმა და ნორჩმა ნატურალისტმა, რომელნიც დაჯილდოებულ იქნენ მედლებითა და სიგელებით.

მოსწავლე ახალგაზრდობა ფართო მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო შრომაში. 1956 წელს მოსწავლეებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოიმუშავეს 2 მილიონამდე შრომადღე.

ამასთან ერთად პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სოფლის სკოლების უმრავლესობაში არ არის მოწყობილი სახელოსნოები, მანქანათმცოდნეობისა და ტექნიკის კაბინეტები. ახმეტის, კაჭრეთის, ყაზბეგისა და ბოგდანოვკის რაიონების არც ერთ სკოლას არა აქვს სახელოსნო, ხოლო აბაშის, მარნეულის, ონის, ჭიათურის, ჩოხატაურის, და ჩხოროწყუს რაიონების სკოლებში სახელოსნოების მხოლოდ ჩანასახები არსებობს.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთით არ არის უზრუნველყოფილი 487 დაწყებითი, 16 შვიდწლიანი და 41 საშუალო სკოლა. ნაკვეთი არა აქვს ქარელის რაიონის — 37, ბოლნისის — 30, ახალქალაქის — 18, საჩხერის — 16 და მარნეულის — 16 სკოლას.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ახალი საგნების მასწავლებელთა კადრებით სკოლების უზრუნველყოფის საქმე. რესპუბლიკის შვიდწლიან და საშუალო სკოლებში მანქანათმცოდნეობას 473 ინჟინერ-ტექნიკოსი და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს 168 აგრონომი და აგროტექნიკოსი ასწავლის. მათ არა აქვთ პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. მეორე მხრივ სკოლების დიდ უმრავლესობაში ამ საგნებს ასწავლიან მონათესავე საგნების მასწავლებლები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო სპეციალური განათლება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იმაღლებს კვალიფიკაციას, თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას, არ შეაქვს სიახლე სწავლებაში, დაბალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებს და სათანადოდ ვერ ამზადებს ახალგაზრდობას ცხოვრებისათვის.

ახალქალაქის რაიონის კართიგამის შვიდწლიანი სკოლის დირექტორმა ს. გინოიანმა (ისტორიის სპეციალისტი) განათლების განყოფილების შეუთანხმებლად აიღო პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილები V კლასებში. იგი არ იცნობს ამ საგნის პროგრამას და წარმოდგენა არა აქვს მისი სწავლების ხერხებსა და საშუალებებზე. ამიტომ იყო, რომ პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილებზე გინოიანი ისტორიას ასწავლიდა. განათლების განყოფილებამ ჩამოართვა მას პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილები და დაადო სათანადო სასჯელი. ხაშურის რაიონის ტეზრის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი გ. ბაღათურია თვითონ არ არის დაუფლებული სახელოსნოში პრაქტიკულ მუშაობას. მასწავლებელი ვერ

უსწორებს მოსწავლეებს პრაქტიკული მეცადინეობის დროს დაშვებულ შეცდომებს, ვერ აგებს ნახაზებს, არ ეხერხება ხელსაწყოების გამოყენება; მოსწავლეები დაუფლებული არ არიან პროგრამულ მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპირსიტყვიერად ატარებს სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმს დიღომის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ფარცვანია. მან ვერ მოახერხა სკოლაში ზოოლოგიური კუთხის მოწყობა და არც ახლომახლო არსებულ ფერმებს იყენებს ამ საგნის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

რიგი სკოლების დაწყებით კლასებში ცუდად წარმოებს ხელგარჯილობის გაკვეთილებზე მუშაობის ელემენტალური ჩვევების დანერგვა. მასწავლებლები მოუმზადებელი შედიან გაკვეთილებზე, საკმაო რაოდენობით არა აქვთ სამუშაო მასალა, რის გამოც მოსწავლეთა ერთი ნაწილი დაუტვირთავია და ხელს უშლის გაკვეთილის მსვლელობას. სკოლის ხელმძღვანელები და ამ საგნის მასწავლებლები ვერ ახერხებენ ხელგარჯილობის გაკვეთილებზე მოსწავლეთა მომარაგებას ისეთი საგნებითაც კი, როგორიც არის ქსოვილების ნაჭრები, ძაფი, მაკრატელი, ნემსი (ბათუმის რაიონის კაპრეშუმის, ზედა განთიადის, ზედა ერგეს, ქობულეთის რაიონის წყავროკის, ზუგდიდის რაიონის ბაღმარანის, მიგორის და ერგეტის სკოლები).

სკოლის ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება მხოლოდ სახელოსნოს მოწყობით, პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმის ჩატარების ორგანიზაციით შეიძლება. მათ ავიწყდებათ, რომ პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენება შეუძლებელია მეცნიერებათა საფუძვლების — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების სწავლების პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირების და მოსწავლეებში პრაქტიკული ჩვევებისა და უნარის გამომუშავების გარეშე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიები აქვს მხოლოდ 352 შვიდწლიანსა და 770 საშუალო სკოლას, ქიმიის—134 შვიდწლიანსა და 580 საშუალო სკოლას, ბიოლოგიის — 275 შვიდწლიანსა და 387 საშუალო სკოლას. კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსების საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან: აბაშის, ახმეტის, ონის, გორის, კასპის, მარნეულის, ცაგერისა და ხობის რაიონების სკოლები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ბიბლიოთეკა

ა) კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე მოისმინონ სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის საკითხი და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მისი შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ბ) მიმდინარე წლის 25 ივნისამდე ჩაატარონ სკოლების დირექტორების თათბირები, რომლებზედაც განიხილონ საკითხი სასწავლო წლის მანძილზე პოლიტექნიკური სწავლების საქმეში ჩატარებული მუშაობისა და გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ;

გ) ფართოდ განუმარტონ მშრომელებს თელაველთა მოწოდება, დაგეგმონ პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისათვის აუცილებელი სამუშაოები და უზრუნველყონ ამ გეგმის შესრულებაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობა;

დ) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ პოლიტექნიკური საგნების მასწავლებლებს მათი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების საქმეში და უზრუნველყონ მოწინავე გამოცდილების ფართო განზოგადება;

ე) ახალი, 1957/58 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ ყველა სკოლის დაკმაყოფილება სასწავლო-საცდელი ნაკვეთით (ქარელის, ბოლნისის, ახალქალაქის, საჩხერისა და მარნეულის რაიონები).

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) მტკიცე კავშირი დაამყარონ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, მტს-ებთან და სხვა საწარმო-დაწესებულებებთან; მოაწყონ მათთვის მხატვრული საღამოები, შეხვედრები მოწინავე მუშებთან, სპეციალისტებთან და ნოვატორებთან, დაეხმარონ სეზონური სამუშაოების შესრულებაში და მოამზადონ ნიადაგი პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად მათ მიერ კონკრეტულ ვალდებულებათა აღებისა და მათი მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება, სასწავლო-საცდელი ნაკვეთების კეთილმოწყობა და სწავლების პროცესში მათი ეფექტური გამოყენება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სისტემატურად დაესწრონ პოლიტექნიკური საგნების მასწავლებლებს გაკვეთილებზე, გააძლიერონ დახმარება ნაკლები პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლებისადმი, ინსტრუქციები მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით ფართოდ გამოიყენონ ღია გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახელოსნოებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში ხელსაწყო-იარაღებისა და მანქანების ზაფხულის პერიოდისათვის სრულ წესრიგში მოყვანას (მშრალ ადგილზე შენახვა, გასუფთავება, დაზეთვა და სხვ.) და მორიგეობას სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოვლა-დაცვის უზრუნველსაყოფად.

3. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა სისტემატურად შეისწავლოს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობა და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს წინადადებები პოლიტექნიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა სათანადო დახმარება გაუწიოს პოლიტექნიკური საგნების მასწავლებლებს და მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს ამ საგნების 450 მასწავლებლის გადამზადება.

5. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ მიმდინარე წლის ბოლომდე გამოსცეს პრაქტიკული მეცადინეობის სახელმძღვანელო V — VII კლასებისათვის და პირველი რიგის აუცილებელი საჭირო მეთოდური ლიტერატურა.

6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ ზუსტად აღრიცხოს თელავის რაიონის მშრომელთა მოწოდების პასუხად რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი, სისტემატურად შეამოწმოს მათი შესრულების მდგომარეობა და საჭირო შემთხვევაში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ორგანიზაციებს ამ ვალდებულებათა მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეში.

7. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობა.

8. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს I — IV კლასების ხელგარჯილობის, V — VII კლასების პრაქტიკული მეცადინეობისა და VIII — XI კლასების პრაქტიკამების სამ-სამი მოწინავე მასწავლებლის წერილობითი ანგარიში მათი მუშაობისა და ამ საგნების სწავლების გაუმჯობესებისა ღონისძიებათა შესახებ.

9. პედაგოგიკურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებასთან ერთად ორი კვირის ვადაში გაუკეთონ ანალიზი წარმოდგენილ მასალას სათანადო ღონისძიებათა დასასახავად.

10. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგი მოახსენოს კოლეგიას მიმდინარე წლის ოქტომბერში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 17 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 694

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 29 მაისი

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობით ჩაატარა რიგი ღონისძიებანი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად.

ქართული ენისა და ლიტერატურის ცალკ-ცალკე კურსი შეიცვალა ქართული ენის კურსით.

ცალკე რუსული და ცალკე სომხურ-აზერბაიჯანული სკოლებისათვის შედგენილ იქნა ქართული ენის პროგრამები, რომლებითაც იმუშავებენ არაქართული სკოლები 1957/58 სასწავლო წლიდან. ახალი პროგრამების შესაბამისად შესწორდა და გაიმართა რუსული სკოლების III, VIII, X კლასების სახელმძღვანელოები. გამოცხადდა კონკურსი არაქართული სკოლების ქართული ენის სახელმძღვანელოებზე და სხვ.

მიუხედავად ამისა ქართული ენის სწავლების დონე არაქართულ სკოლებში დაბალია და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი არადამაკმაყოფილებელი.

ადგილი აქვს კლასებში მოსწავლეთა ცოდნის მნიშვნელოვან სიჭრელეს: ერთსა და იმავე კლასში არიან ქართული ენის შესწავლის ახლად დამწყებნი და კარგად მცოდნენი, დიდ სიძნელეს ქმნის ქართული ენის სწავლების საქმეში.

ბევრი მასწავლებელი ქართულ ენას ასწავლის მოსწავლეთა მშობლიური ენის თავისებურების გაუთვალისწინებლად, არ ეყრდნობა მოსწავლეთა ცოდნას მშობლიურ ენაში. არასაკმაო ყურადღე-

ბა ექცევა მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას, არადამაკმაყოფილებლად ტარდება სალექსიკონო მუშაობა.

კლასგარეშე კითხვა ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად ან სრულებით არ ტარდება. სასკოლო ბიბლიოთეკებში არ არის კლასგარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურა.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი ქართული ენის მასწავლებელთა მუშაობისადმი. განათლების ადგილობრივი ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (ამხ. დ. ლორთქიფანიძე):

ა) 1958 წლის ბოლომდე შეიმუშაოს და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად არაქართული სკოლებისათვის ქართული ენის სავალდებულო ლექსიკური მინიმუმი;

ბ) მ/წლის 14 ივნისამდე დაამუშაოს მეთოდური წერილი არაქართული სკოლების ქართული ენის სახელმძღვანელოთა შედგენის პრინციპების შესახებ;

გ) 1958 წელს გამოსცეს ინსტიტუტში დამუშავებული სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომები არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხებზე;

დ) 1958 წელს მოამზადოს გამოსაცემად წიგნი „ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში“;

ე) 1957—1960 წ. წ. დაამუშაოს და გამოსცეს მეთოდიკური ნაშრომები არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ ცალკეული კლასების მიხედვით („ქართული ენის სწავლება რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების V კლასში“);

ვ) 1 დეკემბრამდე შეიმუშაოს და წარუდგინოს განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად არაქართულ სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია ცალკე კლასების მიხედვით.

ზ) კრებულებში: „ქართული ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“ და „მასწავლებელთა გამოცდილებიდან“ სათანადო ადგილი დაუთმოს წერილებს არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხებზე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) 1 ივლისამდე დაამუშაოს და წარმოუდგინოს კოლეგიაზე სამტკიცებლად მეთოდური მითითებანი არაქართულ სკოლებში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენაში;

ბ) 1958—1959 წ. წ. შეადგინოს და გამოსცეს არაქართულ სკოლებში ქართული ენის საპროგრამო მასალის ზოგიერთი თემის გაკვეთილებად დამუშავების ნიმუშები ცალკე კლასების მიხედვით.

3. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ (ამხ. გ. ნადარეიშვილი) 1958 წელს გამოსცეს რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონები.

4. ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" და გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციებმა პერიოდულად მოათავსონ წერილები არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხებზე.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ასპინძელაშვილი) მ/წლის ზაფხულიდან ყოველწლიურად მოაწყოს არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა დახელოვნების ერთთვიანი კურსები.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეისწავლონ და ა/წლის 1 აგვისტომდე განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს წარუდგინონ ზუსტი ცნობები არაქართული სკოლების იმ კლასების რაოდენობის შესახებ, სადაც ქართულ ენაში მოსწავლეთა მომზადების დონის სხვადასხვაობის გამო აუცილებელია კლასის ორ ჯგუფად დაყოფა;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა და ქმედითი ზომები მიიღონ ამ საგნის სწავლების მაღალ დონეზე დასაყენებლად;

გ) განიხილონ ეს ბრძანება ყველა არაქართული სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გადმოგზავნილი ცნობების საფუძველზე დაიანგარიშოს ამ ბრძანების მე-5 მუხლში გათვალისწინებული ღონისძიების გასატარებლად საჭირო თანხის რაო-

დენობა და 15 აგვისტომდე წარმომიდგინოს განსახილველად საათანადო წინადადებანი.

7. არაქართული სკოლების დირექტორებმა სისტემატური კონტროლი გაუწიონ ქართული ენის მასწავლებელთა მუშაობას, ეხმარონ მათ საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე):

1957/58 სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეისწავლოს ქართული ენის სწავლების მდგომარეობა არაქართულ სკოლებში და შედეგები განსახილველად წარუდგინოს კოლეგიას.

9. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1957 წლის 24 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 695

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 29 მაისი

ასსრ განათლების სამინისტროების, ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 15 თებერვლის № 154 ბრძანების შესაბამისად, ასსრ განათლების სამინისტროების, ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა მიერ ბრძანება-განკარგულებათა შესრულების საქმე გაუმჯობესებულია. მოწესრიგებულია ბრძანებებისა და განკარგულებების ადგილებზე დროულად დაგზავნის ორგანიზაცია. მეტი პასუხისმგებლობით დგება სტატისტიკური და კაპიტალური მშენებლობის ანგარიშები.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ზოგიერთი განათლების განყოფილება სამინისტროს უგზავნის დაბალი ხარისხის სტატისტიკურ ანგარიშებს (ზუგდიდის, ონის, გეგეჭკორის, თიანეთის რაიონები), ასევე თავის დროზე არ ადგენს სამინისტროში საბიუჯეტო მასალებს (ლაგოდეხის, ბორჯომის, ხაშურის, ამბროლაურის რაიონები).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებების გამგეებმა პერიოდულად განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა:

ა) დააწესონ სისტემატური კონტროლი ქვემდებარე ორგანოებისადმი ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებისა;

ბ) საგაზაფხულო გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით მივლინებულ მუშაკებს დაავალონ ამ საკითხის ადგილებზე შემოწმება და საჭირო დახმარების აღმოჩენა;

გ) დროულად დააყენონ საკითხი განათლების განყოფილებების იმ გამგეების შესახებ, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა განათლების სამინისტროს 1957 წლის 15 თებერვლის № 154 ბრძანების შესაბამისად.

3. მინისტრის თანაშემწემ ამხ. დ. დუდუჩავამ ორ კვარტალში ერთხელ შერჩევით შეამოწმოს რამდენიმე რაიონში სამინისტროს ბრძანება-განკარგულებათა შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 696

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1957 წლის 29 მაისი

განათლების განყოფილებებთან არსებული სახალხო განათლების საბჭოების მუშაობის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული სახალხო განათლების საბჭოების მუშაობა ძირითადად მოწოდების სიმაღლეზეა. ქალაქების — ქუთაისისა და გორის, რაიონების თელავის, გურჯაანის, ზესტაფონის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ხობის განათლების განყოფილებები საბჭოების მუშაობას აწარმოებენ წინასწარ დამტკიცებული კვარტალური სამუშაო გეგმების შესაბამისად და სხდომებს რეგულარულად იწვევენ.

საბჭოების მიერ მიღებული ღონისძიებების გატარება დიდად ეხმარება განათლების ორგანოებს მათ წინაშე მდგარი საკითხების მოგვარებაში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებებთან არსებული საბჭოს მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ზოგან (სამხრეთ ოსეთის ა/ო, კაჭრეთის, საგარეჯოს რაიონები) საბჭოები უმოქმედობას იჩენენ: სხდომების მოწვევას შემთხვევითი ხასიათი აქვს, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები ზოგად ხასიათს ატარებს და არ ხდება მათი შესრულების შემოწმება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების სამმართველომ:

ა) უახლოეს დროში გადაამუშაოს ამჟამად მოქმედი სახალხო განათლების საბჭოების დებულება ახალი ვითარების შესაბამისად;

ბ) საგაზაფხულო გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებით მიგლინებაში მიმავალ სასკოლო ინსპექტორებს დაავალოს განათლების განყოფილებებისადმი ამ საქმეში დახმარების აღმოჩენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სისტემატურად შეისწავლოს სახალხო განათლების საბჭოების მუშაობა და დასახოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) მიაღწიოს იმას, რომ განათლების განყოფილებასთან არსებული საბჭოების სხდომები იწვეოდეს რეგულარულად და იხილებოდეს სახალხო განათლების საკვანძო საკითხები.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 570—ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 575—საბავშვო სახლებში 1957 წლის I კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 7
3. ბრძანება № 596—1957—1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მომზადების საქმეში თელაველთა ინიციატივის შესახებ 10
4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკის დაწყებით, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის, მათი მდგომარეობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ . 12
5. ბრძანება № 628—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების 1956 წლის გეგმის შესრულებისა და 1957 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 18
6. ბრძანება № 633—ეწრის საბავშვო სახლში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 20
7. ბრძანება № 655—კოჯრის და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შესახებ 22
8. ბრძანება № 677—ზუგდიდისა და მესტიის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 33
9. ბრძანება № 678—საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ 43
10. ბრძანება № 694—არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 54
11. ბრძანება № 695—ასსრ განათლების სამინისტროების, ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების შესახებ 58
12. ბრძანება № 696—განათლების განყოფილებებთან არსებული სახალხო განათლების საბჭოების მუშაობის შესახებ 60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII-57 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4, სააღრიცხვო—2,95, საავტორო—2,79.

ტირაჟი 5.000 შეკვეთა № 1249

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

2 -
ᲣᲤᲐᲡᲝ
18-4/308
ეროვნული
ბიბლიოთეკა